მიზეზები: მინერალოკორტიკოიდების სიჭარბე (კუშინგის სინდრომი, პიპერალდოსტერონიზმი, ბარტერის სინდრომი), მწვავედ განვითარებული ჰიპოკალემია, ტუტე არის მქონე ხსნარების შეყვანა (რინგერ ლაქტატის ხსნარი, ციტრატზე დამზადებული სისხლი, აცეტატი, NaHCO_3)

კორექცია:

ღებინებითა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვა ნაწილებიდან სითხის დაკარგვით განპირობებული ჰიპოკალემიისა და ჰიპოკალემიის მოწესრიგება.

მდგრადი მეტაბოლური ალკალოზის კორექცია საჭიროებს რაცი პრეპარატების, კერძოდ მჟავა ხსნარების გამოყენებას:

მარილმჟავა (HCl) – მეტაბოლური აციდოზის კორექციისათვის საჭირო რაოდენობა განისაზღვრება წყალბადის იონის დეფიციტით და HCl ხსნარის მოცულობითა და ინფუზიის სიჩქარით. IV HCl ნაწვენებია მძიმე მეტაბოლური ალკალოზის დროს (pH > 7.55) ან როდესაც NaCl ან KCl ეერ ინიშნება მოცულობითი გადატვირთვის ან პროგრესირებადი თირკმლის უკმარისობის გამო. ასევე ნაწვენებია მძიმე მეტაბოლური ალკალოზის სწრაფი კორექციისათვის (მაგ: არითმია, ლეიქემიისმიერი ენკეფალოპათია) პრეპარატი: 0.1-0.2 M, რომელიც შეიცავს 100 მმოლ H^+ /ლ და 200 მმოლ H^+ /ლ.

მოზრდილის დოზა: IV: H^+ იონის დეფიციტის გამოთვლა (მექე) = $0.3 \times \text{წონა (კგ)} \times (\text{არსებული } \text{HCO}_3^- - \text{საჭირო } \text{HCO}_3^- [\text{მექე/ლ}])$.

პედიატრიული დოზა: არ არის დადგენილი მონაცემების სიმწირის გამო; **უკუჩვენებები:** ცენტრალური ენური მიდგომის არარსებობა.

ამონიუმის კლორიდი (NH_4Cl) – კლორიდის უკმარისობით განპირობებული მძიმე მეტაბოლური ალკალოზის კორექციისათვის. გამოიყენება 500-მგ-იანი ტაბლეტები და 26.75% პარენტერალური ხსნარი IV ინფუზიისათვის. პარენტერალური ხსნარი შეიცავს 5 მექე/მლ (267.5 მგ/მლ).

მოზრდილის დოზა: 8-12 გ/დღეში PO 6 სთ-ში ერთჯერ ან 1.5 გ IV 6 სთ-ში ერთჯერ. ხსნარი უნდა განზავდეს კონცენტრაციამდე <0.4 მექე/მლ; ინფუზიის სიჩქარე არ უნდა გადააჭარბოს 1 მექე/კგ/სთ-

ში; პედიატრიული დოზა: 75 მგ/კგ/დღეში PO/IV 6 სთ-ში ერთჯერ, არაუმეტეს 6 გ/დღეში და ინფუზიის სიჩქარე 1 მექვ/კგ/სთ-ში. ხსნარი უნდა განზავდეს კონცენტრაციამდე < 0.4 მექვ/მლ; უკუჩვენებები: ღვიძლის ან თირკმლის უკმარისობა.

აცეტაზოლამიდი (დიამოქსი, დიაკარბი) – თრგუნავს HCO_3 რეაბსორბციას თირკმლის პროქსიმალურ მილაკებში, რითაც ხელს უწყობს მის გაძლიერებულ ექსკრეციას. იგი ასევე წარმოადგენს ღიურესულ საშუალებას და ამცირებს უჯრედგარეთა სითხის მოცულობას, რომელიც ხშირად თან სდევს ქლორიდის მიმართ მდგრად მეტაბოლურ აციდოზს.

მოზრდილის დოზა: 5-10 მგ/კგ/დღეში PO/IV 6 სთ-ში ერთჯერ; **პედიატრიული დოზა:** 5 მგ/კგ PO დღეში 1-ჯერ ან დღეგამოშვებით 8-30 მგ/კგ/დღეში IV/IM 6-8 სთ-ში ერთჯერ, არაუმეტეს 1 გ/დღეში; **უკუჩვენებები:** მომატებული მგრძნობელობა პრეპარატის მიმართ, ღვიძლის დაავადებები, თირკმლის მწვავე დაავადებები, თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა, მწვავე პულმონარული ობსტრუქცია.

✓ რესპირატორული აციდოზი:

$\text{pH} < 7.35$, $\uparrow \text{PaCO}_2$ (მწვავე), $\uparrow \text{HCO}_3$ (კომპენსაცია)

მწვავე: $\uparrow 10 \text{ mmHg PaCO}_2 = \downarrow 0.08 \text{ pH}$

$\uparrow 1 \text{ მექვ/ლ HCO}_3 = \uparrow 10 \text{ mmHg PaCO}_2$

ქრონიკული: $\uparrow 3.5 \text{ მექვ/ლ HCO}_3 = \uparrow 10 \text{ mmHg PaCO}_2$

მიზეზები: სასუნთქი გზების მწვავე ობსტრუქცია (ასთმა, COPD), ფილტვის დაავადება, გამონადენი პლევრაში, პნევმოთორაქსი, გულმკერდის ღრუს პათოლოგიები (მცურავი გულმკერდი, ნეკნების მოტეხილობა, კიფოსქოლიოზი, სკლეროდერმა), ჰიპოვენტილაცია (ნარკოტიკები - მორფინის სულფატი, სედაციური საშუალებები, ტრანკვილიზატორები, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა, დამბლა, ნეიროპათია), ჰიპოკალემია, ჰიპოფოსფატემია, ჰიპომაგნემია, კუნთოვანი დისტროფია

კორექცია:

- რესპირატორული აციდოზის გამომწვევე ძირითადი მიზეზის საწინააღმდეგოდ მიმართული მკურნალობა
- ანტიბიოტიკოთერაპია პნევმონიის დროს
- ნაღოქსონი - ნარკოტიკების მიღებით გამოწვეული ჰიპოვენტილაციის დროს
- ბრონქოდილატატორები (მაგ: ალბუტეროლი) და სტეროიდები – ასთმის დროს
- არაინვაზიური დადებითი წნევით ვენტილაცია
- მექანიკური ვენტილაცია
- თუ ჰიპერკაპნიას თან სდევს ჰიპოქსემია, ნაჩვენებია ოქსიგენოთერაპია

- შერეული მეტაბოლურ-რესპირატორული აციდოზის დროს ნაჩვენებია ტრომეთამინი (THAM), რომელიც არ იწვევს სისხლში CO_2 -ის მომატებას და არ აღრმავებს რესპირატორულ აციდოზს.

ტრომეთამინი – გამოიყენება მეტაბოლური ან რესპირატორული აციდოზის კორექციისათვის.

მოზრდილის დოზა: 0.3-M ხსნარის საგარაუდო მოცულობა (მლ) = წონა (კგ) $\times$ ტუტის დეფიციტი (მეჰვ/ლ) $\times 1.1$

მოზრდილებში ინიშნება 0.3-M ხსნარის 500 მლ (150 მეჰვ). შესაძლებელია დოზის გაზრდა 1000 მლ-მდე, სისხლის pH-ის მიხედვით 1 მმოლ = 0.3-M ხსნარის 3.3 მლ.

პედიატრიული დოზა: 0.3-M ხსნარის მოცულობა (მლ) = წონა (კგ) $\times$ ტუტის დეფიციტი (მეჰვ/ლ) $\times 1.1$

არაუმეტეს 40 მლ/კგ/დღეში IV; ინფუზიის სიჩქარე არაუმეტეს 3-16 მლ/კგ/სთ-ში, დოზის ტიტრაციით სისხლის pH-ის მიხედვით.

უკუჩვენებები: მომატებული მგრძნობელობა პრეპარატის მიმართ, ანურია, ურემია.

✓ რესპირატორული ალკალოზი:

$\text{pH} < 7.45$, $\downarrow \text{PaCO}_2$ (მწვავე), $\downarrow \text{HCO}_3$ (კომპენსაცია)

მწვავე: $\downarrow 10 \text{ mmHg PaCO}_2 = \uparrow 0.08 \text{ pH}$

$\downarrow 2 \text{ მეჰვ/ლ HCO}_3 = \downarrow 10 \text{ mmHg PaCO}_2$

ქრონიკული: $\downarrow 5 \text{ მეჰვ/ლ HCO}_3 = \downarrow 10 \text{ mmHg PaCO}_2$

მიზეზები: პიპერენტილაცია, შფოთვა, ტკივილი, CVA, თავის ტრავმა, მენინგიტი, ინტრაკრანიალური წნევის მომატება, სეფსისის ადრეული სტადია, ცხელება, გულის შეგუბებითი უკმარისობა, პნევმონია, აცეტილსალიცილის მკვებით ინტოქსიკაცია, ფილტვის ინტერსტიციული დაავადება, ლეიძლის უკმარისობა, ორსულობა, თირეოტოქსიკოზი, ჰიპოქსია, პერიკარდიუმის გამონაჟონი – ტამპონადა.

კორექცია:

- რესპირატორული ალკალოზის გამომწვევი მიზეზის საწინააღმდეგოდ მიმართული მკურნალობა.

• პარენტერალური კვება

პარენტერალური კვების კომპონენტები მოზრდილ პაციენტებში		
კომპონენტი	საშუალო სიდიდეები	შენიშვნა
მოცულობა	2 ლ/დღეში	15 ლ/დღეში თუ წონა < 60 კგ
სიჩქარე	1 ლ/დღეში (42 მლ/სთ), შეიძლება გაზრდა 2 ლ/დღეში, თუ მდგომარეობა სტაბილურია	ჰიპოგლიკემიის თავიდან ასაცილებლად არ უნდა შეწყდეს სწრაფად (გაგრძელებს 10%-იანი დექსტროზით ან განახევრდეს ინფუზიის სიჩქარე ოპერაციის/პროცედურის მსვლელობისას)
დექსტროზა	10-30 %-იანი ხსნარი (D ₁₀ -D ₃₀)	D ₂₅ ცენტრალურ ვენაში, მაქსიმუმ D ₁₅ ბარძაყის ვენაში, D ₅ -D ₁₀ პერიფერიულ ვენაში (3.4 კკალ/გ - 340 კკალ/ლ D ₁₀)
ცილა	30-70 გრ/ლ (3-7 %-იანი ამინომჟავების ხსნარი)	4 კკალ/გ (200 კკალ 1 ლ 5 %-იან ხსნარში)
ლიპიდები	200 გრ/ლ (20 %-იანი ხსნარი). უნდა გადაიხას ცალკე	9 კკალ/გრ 20 %-იანი ცხიმოვანი ემულსია (შეიცავს გლიცეროლს და ფოსფოლიპიდებს) გამოიმუშავენ 2 კკალ/მლ. შემცირდეს დოზა თუ ↑ ტრიგლიცერიდები, ↑ PO ₄
ელექტროლიტები	K 30 მექვ/ლ, Na 30 მექვ/ლ, Mg 4 მექვ/ლ, Ca 4 მგ/ლ, PO ₄ 15 მმოლ/ლ	დაემატოს აცეტიტი (HCO ₃) ჰიპერქლორემიული აციდოზის დროს
ვიტამინები	სტანდარტული მულტივიტამინი (10 მლ) და მიკროელემენტები (Zn, Cu, Se, Cr)	
არჩევითი	H ₂ ბლოკატორი, ვიტამინი K, ინსულინი	

სრული პარენტერალური კვების გათვლა მოზრდილ პაციენტებში		
მდგომარეობა	მოთხოვნილება კალორიებზე (კკალ/კგ/დღეში)	მოთხოვნილებაზე ცილაზე (გ/კგ/დღეში)
მოსვენებული მდგომარეობა	20-30	0.8-1
გაურთულებელი პოსტოპერაციული პერიოდი	25-35	1-1.3
გამოფიტული პაციენტი	30-40	1.3-1.7
ჰიპერმეტაბოლური მდგომარეობა (ტრავმა, სეფსისი, დამწვრობა)	35-45	1.5-2

შენიშვნა: პარენტერალური კვების კომპონენტების ენერგეტიკული ღირებულება:

1გ ცილა 4 კკალ/გ

1გ ცხიმი 9 კკალ/გ

1გ ნახშირწყალი 3.4 კკალ/გ

1გ აზოტი 6.25 გ ცილა

მოზრდილი პაციენტების (> 18 წელი) ენერგეტიკული მოთხოვნილება
(American Dietetic Association)

პარის ბენედიქტის ტოლობა

ძირითადი ენერგეტიკული დანახარჯი (BEE – Basal Energy Expenditure)

მოზრდილი მამაკაცი BEE (კკალ/დღეში) = $66.5 + (13.8 \times \text{წონა}) + (5.0 \times \text{სიმაღლე}) - (6.8 \times \text{ასაკი})$

მოზრდილი ქალი BEE (კკალ/დღეში) = $655.1 + (9.6 \times \text{წონა}) + (1.8 \times \text{სიმაღლე}) - (4.7 \times \text{ასაკი})$

წონა – კილოგრამები

სიმაღლე – სანტიმეტრები

ასაკი – წლები

ენერგიაზე სადღეღამისო მოთხოვნილება = BEE $\times$ აქტივობის ფაქტორი $\times$ დაზიანების ფაქტორი

აქტივობის ფაქტორი:

უმოდრაო პაციენტი = 1.2

მოდრაეი პაციენტი = 1.3

დაზიანების ფაქტორი:

ქირურგიული ჩარევა

მცირე ჩარევა = 1.0-1.1

დიდი ჩარევა = 1.1-1.2

ინფექცია

მსუბუქი = 1.0-1.2

ზომიერი = 1.2-1.4

მძიმე = 1.4-1.8

ტრავმა

ჩონჩხის = 1.2-1.35

ბლაგვი = 1.15-1.35

თავის ტრავმა (სტერიოდებით მკურნალობა) = 1.6

დამწვრობა

სხეულის ზედაპირის (BSA) 20%-მდე = 1.0-1.5

BSA 20-40% = 1.5-1.85

BSA > 40% = 1.85-1.95

	უმოძრაო	ზომიერი	აქტიური
ჭარბი წონა	20-25 კკალ/კგ	30 კკალ/კგ	35 კკალ/კგ
ნორმალური წონა	30 კკალ/კგ	35 კკალ/კგ	40 კკალ/კგ
მცირე წონა	30 კკალ/კგ	40 კკალ/კგ	45-50 კკალ/კგ

მოზრდილის ენერგეტიკული მოთხოვნილება კკალ/კგ (ჯანმრთელი და ავადმყოფი პირები)

მდგომარეობა	კკალ/კგ (IBW – სხეულის იდეალური წონა)
ძირითადი ენერგეტიკული მოთხოვნილება	25-30
ამბულატორიული პაციენტი შენარჩუნებული წონით	30-35
კვების დეფიციტი მსუბუქი სტრესით	40
მძიმე დაზიანებები და სეფსისი	50-60
გავრცელებული დამწვრობები	80

ელექტროლიტების დღიური მოთხოვნილება მოზრდილ პაციენტებში

ელექტროლიტი	მეკ/დღეში
ნატრიუმი	60-120
კალიუმი	60-120
ქლორიდი	100-150
მაგნიუმი	10-24
კალციუმი	10-20
ფოსფატი	20-50 მმოლ/დღეში

სულფატი	10-24
აკვტატი	60-150
ბიკარბონატი	არ ემატება

სითხის მოთხოვნილება – 30-35 მლ/კგ/დღეში ან
 მლ/დღეში = 1500 მლ პირველ 20 კგ-ზე + 20 მლ/კგ > 20 კგ

სრული პარენტერალური კვება ახალშობილებში

ჩვენებები:

- მცირე წონის ახალშობილი < 1000 გრ
- ქილოზური სეროზიტები (თუ 7-10 დღის განმავლობაში დაბალმოლეკულური ცხიმოვანი მჟავების შემცველი ნარევიო ენტერალური კვების მიუხედავად ქილოზური სეროზიტი კელაე რჩება)
- საექვო/დადასტურებული ბრონქოპულმონური დისპლაზია
- პრე/პოსტოპერაციული პერიოდი
- საექვო/დადასტურებული გასტროინტესტინური სისტემის ანომალიები: საყლაპავის ატრეზია, სხედასხვა გენეზისის ნაწლავთა გაუვალობა, გასტროშიზი, ჭიპლარის თიაქარი, ნებისმიერი ტიპის ნაწლავის ანასტომოზი, მოკლე ნაწლავის სინდრომი
- საექვო/დადასტურებული დიაფრაგმის თიაქარი
- საექვო/დადასტურებული წყლულოვან-ნეკროზული ენტეროკოლიტი

შეყვანის გზები:

- პერიფერიული ვენა – თუ საბაზო ხსნარში გლუკოზის კონცენტრაცია < 12.5%, ხოლო ცილის კონცენტრაცია < 3%
- ცენტრალური ვენა – თუ საბაზო ხსნარში გლუკოზის კონცენტრაცია > 12.5%, ხოლო ცილის კონცენტრაცია > 3% (გლუკოზის მაქსიმალური კონცენტრაცია ცენტრალურ ვენაში – 25-30%)

საბაზო ხსნარის მოცულობის გამოსათვლელად სითხის საერთო რაოდენობას აკლდება ცხიმოვანი ემულსიის და მედიკამენტების განზავებისათვის საჭირო სითხის მოცულობა. საბაზო ხსნარი შედგება ცილოვანი (ამინომჟავების სახით) ხსნარის, ელექტროლიტების, ვიტამინებისა და გლუკოზის ხსნარისაგან.

შენიშვნა:

- თუ ახალშობილის ფაქტობრივი წონა ნაკლებია დაბადების წონაზე, პარენტერალური კვების გამოთვლა ხდება დაბადების წონის მიხედვით;

- საბაზო ხსნარის გადასხმა საჭიროა 24 სთ-ის განმავლობაში თანაბრად;
- სასურველია საბაზო ხსნარის ოსმოლარობა ახლოს იყოს სისხლის პლაზმის ოსმოლარობასთან (270-310 მილიოსმოლ/ლ).

სითხის ფიზიოლოგიური მოთხოვნილება მლ/კგ/დღეში

დაბადების წონა (გრამი)	I-II დღე მლ/კგ	III დღე მლ/კგ	>3 დღეზე მლ/კგ
500-700	120	140-160	150
701-1000	105	120-130	150
1001-1250	90	130	150
1251-1500	90	120	150
1501-1700	80	110	150
1701-2000	70	100	140
>2000	65-70	90	140

- პოსტოპერაციულ პერიოდში სითხის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს და შეადგინოს 190 მლ/კგ/დღეში

Na-ის მოთხოვნილება

Na-ის ნორმალური მაჩვენებელი სისხლის პლაზმაში – 135-145 მმოლ/ლ

მგ/დღ $\times 0.435 =$ მმოლ/ლ

მმოლ/ლ : 2.30 = მგ/დღ

Na-ის მიწოდება იწყება სიცოცხლის II დღიდან

სიცოცხლის II დღე – 3.5 – 4 მექვ/კგ/დღეში

სიცოცხლის III დღიდან – 4 მექვ/კგ/დღეში ნორმოტროფიულ ბავშვებში და 5 მექვ/კგ/დღეში გესტაციით 32 კვირამდე

საბაზო ხსნარში Na-ის მოცემული რაოდენობა უნდა იქნეს შენარჩუნებული სისხლში Na-ის კონცენტრაციისა და ახალშობილის წონის გათვალისწინებით.

Na-ის მოთხოვნილების შევსება ხდება NaCl-ის ხსნარით.

NaCl-ის მოთხოვნილების (მლ) გამოსათვლელი ფორმულა:

$$\text{NaCl (მლ)} = \frac{\text{წონა (კგ)} \times (\text{საჭირო მექვ}) \times 58.5^*}{\text{ხსნარის \%} \times 10}$$

*58.5 - NaCl-ის მოლეკულური წონა

100 მლ 0.9 %-იანი NaCl შეიცავს 15.4 მექვ Na

K-ის მოთხოვნილება

K-ის ნორმალური მაჩვენებელი სისხლის პლაზმაში – 3.5-5.5 მმოლ/ლ

მგ/დლ $\times 0.256 =$ მმოლ/ლ

მმოლ/ლ : 3.91 = მგ/დლ

K-ის მიწოდება იწყება სიცოცხლის II დღიდან

სიცოცხლის II დღე - 0.5 - 1 მექვ/კგ/დღეში

სიცოცხლის III დღე - 1.5 - 2 მექვ/კგ/დღეში

სიცოცხლის IV დღიდან - 2.5 მექვ/კგ/დღეში

საბაზო ხსნარში K-ის მოცემული კონცენტრაცია უნდა იქნეს შენარჩუნებული მომდევნო დღეებშიც სისხლში K-ის შემცველობისა და ახალშობილის წონის გათვალისწინებით.

K-ის მოთხოვნილების შევსება ხდება KCl-ის ხსნარით

KCl-ის მოთხოვნილების (მლ) გამოსათვლელი ფორმულა:

$$\text{KCL (მლ)} = \frac{\text{წონა (კგ)} \times (\text{საჭირო მლექვ}) \times 74.5^*}{\text{ხსნარის \%} \times 10}$$

***74.5 - KCl-ის მოლეკულური წონა**

საბაზო ხსნარში KCl-ის დამატებისას გასათვალისწინებელია დიურეზის ადეკვატურობა

Ca-ის მოთხოვნილება

საერთო Ca-ის ნორმალური მაჩვენებელი სისხლის პლაზმაში - 2 - 2.5 მმოლ/ლ

იონიზებული Ca-ის რაოდენობა სისხლის პლაზმაში - 0.98 - 1.25 მმოლ/ლ

მგ/დლ $\times 0.250 =$ მმოლ/ლ

მმოლ/ლ : 4.01 = მგ/დლ

Ca-ის მიწოდება იწყება სიცოცხლის I დღიდან

Ca-ის ყოველდღიური მოთხოვნილების შევსება ხდება 90 მგ/კგ/დღეში 10%-იანი კალციუმის გლუკონატი (0.9 მლ/კგ/დღეში) ან 30 მგ/კგ/დღეში 10%-იანი CaCl_2 (0.3 მლ/კგ/დღეში) ხსნარით.

შენიშვნა: დაუშვებელია Ca-ის პრეპარატის და NaHCO_3 ერთად შეყვანა ენაში

Mg-ის მოთხოვნილება

Mg-ის ნორმალური მაჩვენებელი სისხლის პლაზმაში - 0.75 - 1 მმოლ/ლ

მგ/დლ $\times 0.411 =$ მმოლ/ლ

მმოლ/ლ : 2.431 = მგ/დლ

Mg-ის მიწოდება იწყება სიცოცხლის II დღიდან, თუ დიურეზი შეადგენს 1-3 მლ/კგ/დღეში.

Mg-ის მოთხოვნილების შევსება ხდება MgSO_4 -ის სახით. დღიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 30 მგ/კგ/დღეში MgSO_4 .

1 მლ 25%-იანი MgSO_4 შეიცავს 250 მგ MgSO_4 .

P-ის მოთხოვნილება

P-ის ნორმალური მაჩვენებელი სისხლის პლაზმაში – 54 – 109 მგ/დლ

მგ/დლ $\times 0.323 =$ მმოლ/ლ

მმოლ/ლ : 3.097 = მგ/დლ

P-ის მიწოდება იწყება სიცოცხლის VII დღიდან (ცენტრალური ვენის კათეტერით)

P-ის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 40 მგ/კგ/დღეში (1.5 მმოლ/კგ/დღეში)

P-ის მოთხოვნილების შევსება ხდება K ან Na ფოსფატი

ნატრიუმის ფოსფატის 1 მლ შეიცავს 3 მმოლ ფოსფორს და 4 მექვ ნატრიუმის იონს. კალიუმის ფოსფატის 1 მლ შეიცავს 3 მმოლ ფოსფორს და 4.4 მექვ კალიუმის იონს.

აკრძალულია Ca-ის და P-ის პრეპარატების ერთად შეყვანა.

ცილის მოთხოვნილება

ცილის ნორმალური მაჩვენებელი სისხლის პლაზმაში:

საერთო – 4.5 – 5.5 გ/დლ

ალბუმინი – 3.4 – 4.6 გ/დლ

გლობულინი – 0.5 – 2.6 გ/დლ

ცილის მიწოდება იწყება სიცოცხლის III დღიდან.

- სიცოცხლის III დღე – 0.5 გ/კგ/დღეში

- ყოველდღიურად ემატება 0.5 გ/კგ/დღეში

ცილის მაქსიმალური რაოდენობაა 3 – 3.5 გ/კგ/დღეში

ოლიგურიის ან ანურიის შემთხვევაში ცილის მიწოდება კორეგირდება სისხლში შარდოვანას ტიტრის მიხედვით.

ცხიმის მოთხოვნილება

ტრიგლიცერიდების ნორმალური მაჩვენებელი სისხლის პლაზმაში – 0 – 140 მგ/დლ

0 – 1845 მექვ/ლ

ცხიმის მიწოდება იწყება სიცოცხლის III - V დღიდან

- 0.5 გ/კგ/დღეში V დღიდან, თუ წონა > 1000 გ

- 0.5 გ/კგ/დღეში III დღიდან, თუ წონა < 1000 გ

ცხიმის მაქსიმალური დოზაა – 2.5 – 3 გ/კგ/დღეში

ყოველდღიურად ემატება 0.5 გ/კგ/დღეში

ცხიმის გადასხმის ხანგრძლივობაა 10-12 სთ. დაუშვებელია ცხიმოვანი ემულსიის შერევა საბაზო ხსნართან. მისი გადასხმა შესაძლებელია მხოლოდ ვენური კათეტერის (გამოიყენება პერიფერიული ვენაც) ცალკე სანათურში.

- ჰიპერბილირუბინემიისა და პულმონარული ჰიპერტენზიის დროს ცხიმის გამოყენება უნდა შეწყდეს ან შემცირდეს მინიმუმამდე (0.5 – 1 გ/კგ/დღეში)

- გასათვალისწინებელია თრომბოციტოპენიისა და ინფექციის განვითარების საშიშროება

ნახშირწყლების მოთხოვნილება

**გლუკოზის ნორმალური მაჩვენებელი სისხლის პლაზმაში –
4.4 – 7.7 მმოლ/ლ (80-140 მგ/დლ)**

მმოლ/ლ $\times$ 18.02 = 1 მგ/დლ

მგ/დლ $\times$ 0.055 = 1 მმოლ/ლ

ნახშირწყლების მიწოდება იწყება სიცოცხლის I დღიდან.

სიცოცხლის I დღე: 4-6 გ/კგ/დღეში.

- თუ სისხლში გლუკოზის შემცველობა < 2.5 მმოლ/ლ, ყოველდღიურად ემატება 2 გ/კგ/დღეში
- თუ სისხლში გლუკოზის შემცველობა $= 2.5-3.5$ მმოლ/ლ, ყოველდღიურად ემატება 1 გ/კგ/დღეში
- თუ სისხლში გლუკოზის შემცველობა > 5.5 და შარდში არ არის გლუკოზი, ყოველდღიურად ემატება 1 გ/კგ/დღეში
- გადასასხმელი გლუკოზის რაოდენობა არ იცვლება, თუ სისხლში გლუკოზის შემცველობა > 5.5 მმოლ/ლ და/ან შარდში აღინიშნება გლუკოზის არსებობა
- თუ სისხლში გლუკოზის შემცველობა რჩება > 8.8 მმოლ/ლ და 48 სთ-ის განმავლობაში შარდში მისი კონცენტრაცია არ იკლებს, საჭიროა დაიდგას ინსულინის მიკროინფუზია – 0.02-0.1 ერთ/კგ/სთ

**გლუკოზის მაქსიმალური დოზა 18 გ/კგ/დღეში
შენიშვნა:**

- თუ სისხლში გლუკოზის შემცველობა < 2.2 მმოლ, საჭიროა გლუკოზის 25%-იანი ხსნარის 1-2 მლ/კგ სწრაფი ნაკადილ შეყვანა ცენტრალური ვენის კათეტერში, ან 12.5%-იანი ხსნარის 2-4 მლ/კგ პერიფერიული ვენის კათეტერში
- თუ სისხლში გლუკოზის შემცველობა < 0.4 მმოლ/ლ, საჭიროა ჰიდროკორტიზონის შეყვანა 5 მგ/კგ/დღეში 12 სთ-ში ერთჯერ 3 დღის განმავლობაში
- შაქრიანი დიაბეტით დაავადებული დედის ახალშობილის ჰიპოგლიკემიის კორექციისათვის საბაზო ხსნარში გლუკოზის კონცენტრაცია იზრდება 12.5%-მდე. თუ სისხლში გლუკოზის შემცველობა არ მატულობს, გლუკოზის კონცენტრაცია იზრდება 15-20%-მდე
- ჰიპო და ჰიპერგლიკემიის პერსისტირების შემთხვევაში საჭიროა ენდოკრინოლოგის კონსულტაცია

ვიტამინები

ხანგრძლივი პარენტერალური კვების შემთხვევაში (> 1 კვირა) საჭიროა ვიტამინების დამატება, რომელიც არ ერევა საბაზო ხსნარს

Vit B₁ 0.03 მგ/კგ/დღეში

Vit B₆ 0.01 მგ/კგ/დღეში

Vit C 30 მგ/კგ/დღეში

Vit D 400 ს.ე პერორალურად

დღიური ენერგეტიკული მოთხოვნილება ახალშობილებში

ასაკი (დღეები)	1-2	3-4	5-6	7-8	9-10	>10
კკალ/კგ/დღეში	10-20	30-40	50-60	70-80	90-100	110-120

სრულ პარენტერალურ კვებაზე მყოფი ახალშობილის ენერგეტიკული მოთხოვნილება მე-10 დღის შემდეგ შედგენს 150 კკალ/კგ/დღეში

1 გ ცხიმი = 9 კკალ

1 გ გლუკოზა = 3.4 კკალ

1 გ ცილა = 4 კკალ

პარენტერალური კვება წყდება, როდესაც ენტერალური კვება მიაღწევს მოთხოვნილების 80%, თუმცა ინტრავენური სითხის მიწოდება გრძელდება იქამდე, სანამ ენტერალურად მიღებული საკვების რაოდენობა არ მიაღწევს 100%.

პარენტერალური კვების მონიტორინგი

- პარენტერალური კვების კომპონენტებისა და კალორაჟის ყოველდღიური გამოთვლა
- სისხლში გლუკოზის შემცველობის კონტროლი 12 სთ-ში ერთჯერ, თუ მისი მაჩვენებელი სტაბილურად ნორმის ფარგლებშია. პიპო/პიპერგლიკემიის შემთხვევაში სისხლში და შარდში გლუკოზის დონე უნდა განისაზღვროს ყოველ 1 სთ-ში. როდესაც გლუკოზის მაჩვენებელი მიაღწევს ნორმას, აუცილებელია მისი კონტროლი 2 სთ-ში ერთჯერ პირველი 4-6 სთ-ის განმავლობაში
- დიურეზის კონტროლი
- წონის კონტროლი - პირველ 72 სთ-ში დღეში 2-ჯერ, შემდეგ დღეში ერთჯერ.
- Na, K, Ca-ის მაჩვენებლის კონტროლი - პირველ 72 სთ-ში დღეში 2-3-ჯერ, შემდეგ დღეებში სტაბილური მაჩვენებლის შემთხვევაში დღეში ერთჯერ
- საერთო ცილის, ცილის ფრაქციების, შარდოვნას, ბილირუბინის, ტრანსამინაზების კონტროლი კვირაში 2-3-ჯერ. სტაბილური მაჩვენებლების შემთხვევაში კვირაში ერთჯერ
- ტრიგლიცერიდების განსაზღვრა ლიპიდების მიწოდების დაწყებამდე, შემდეგ კვირაში 1-2-ჯერ

თუ საბაზო ხსნარის გადასხმის სიჩქარე < 3 მლ/სთ, ვენის კათეტერის დაცვის მოხნით საბაზო ხსნარის 1 მლ ემატება 2 ერთ ჰეპარინი.

სრული პარენტერალური კვების მონიტორინგი

მაჩვენებელი	საწყისი პერიოდი*	მოგვიანებითი პერიოდი**
წონა	დღეში 1-ჯერ	კვირაში 2-ჯერ
სიგრძე	თვეში 1-ჯერ	თვეში 1-ჯერ
თავის გარშემოწერილობა (ჩვილებში)	კვირაში 1-ჯერ	კვირაში 1-ჯერ (< 3 თვე) თვეში 1-ჯერ (3 თვე-1 წელი)
მხრის გარშემოწერილობა	თვეში 1-ჯერ	თვეში 1-ჯერ
ელექტროლიტები (Na, K, Cl, HCO ₃)	კვირაში 2-ჯერ	კვირაში 1-ჯერ
შარდოვანა, კრეატინინი	კვირაში 2-ჯერ	კვირაში 1-ჯერ
ცილა, ალბუმინი	კვირაში 1-ჯერ	კვირაში 1-ჯერ
კალციუმი, მაგნიუმი, ფოსფორი	კვირაში 2-ჯერ	კვირაში 1-ჯერ
ALT, AST, ტუტე ფოსფატაზა	კვირაში 1-ჯერ	კვირაში 1-ჯერ
საერთო ღა პირდაპირი ბილირუბინი	კვირაში 1-ჯერ	კვირაში 1-ჯერ
ტრანსფერინი	კვირაში 1-ჯერ	კვირაში 1-ჯერ
სისხლის საერთო ანალიზი	კვირაში 1-ჯერ	კვირაში 1-ჯერ
ვიტამინი B ₁₂	თვეში 1-ჯერ	თვეში 1-ჯერ
ვიტამინი E	თვეში 1-ჯერ	თვეში 1-ჯერ
სპილენძი, თუთია, სელენიუმი	თვეში 1-ჯერ	თვეში 1-ჯერ
ტრიგლიცერიდები, ქოლესტეროლი***	ლიპიდის რაოდენობის შესაბამისად	კვირაში 1-ჯერ
შენიშვნა: *პერიოდი, სანამ პარენტერალური კვების შეადგენლობაში არ შევანახოთ წიგნების, ცხიმის ან ცილის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა, ან მეტაბოლური არასტაბილურობის ნებისმიერი პერიოდი **როდესაც სითხის შემადგენლობა გახდება სტაბილური ***ნებისმიერი დრო, როდესაც პაციენტს მიეწოდება ინტრავენური ცხიმოვანი ემულსია		

სრული პარენტერალური კვების მოთხოვნილება ბავშვებში

კომპონენტი	ახალშობილი	6 თვე - 10 წელი	>10 წელი
კალორიები (კკალ/კგ/დღეში)	90-120	60-105	40-75
სითხის რაოდენობა (მლ/კგ/დღეში)	120-180	60-150	50-75
გლუკოზა (მგ/კგ/წთ)	4-6	7-8	7-8
ცილა (გ/კგ/დღეში)	2-3	1.5-3.0	0.8-2
ცხიმი (გ/კგ/დღეში)	0.5-4.0	1.0-4.0	1.0-4.0
ნატრიუმი (მექვ/კგ/დღეში)	3-4	3-4	3-4
კალიუმი (მექვ/კგ/დღეში)	2-3	2-3	1-2
კალციუმი (მგ/კგ/დღეში)	60-80	40-80	20-60
ფოსფატი (მგ/კგ/დღეში)	45-70	25-40	25-40
მაგნიუმი (მექვ/კგ/დღეში)	0.25-1.0	0.5	0.5
თუთია (მკგ/კგ/დღეში)	400	200	50
სპილენძი (მკგ/კგ/დღეში)	20	20	20
ქრომი (მკგ/კგ/დღეში)	0.2	0.2	0.2
მანგანუმი (მკგ/კგ/დღეში)	1	1	0.3
სელენიუმი (მკგ/კგ/დღეში)	3	3	3

პარენტერალური კვების შემადგენლობა

კომპონენტი	საწყისი დოზა	დოზის ზრდა	მაქსიმალური დოზა
ცილა	ახალშობილი (< 1000 გ): 0.5 გ/კგ/დღეში	0.5-1.0 გ/კგ/დღეში	კალორიების 10-12%

	ბაეში: 1.0 გ/კგ/დღეში	1.0 გ/კგ/დღეში	კალორიების 12-16%
ცხიმი	ახალშობილი (< 1000 გ): 0.5 გ/კგ/დღეში	0.5-1.0 გ/კგ/დღეში	კალორიების 40%
	ბაეში: 1.0 გ/კგ/დღეში	0.5-1.0 გ/კგ/დღეში	
ნახშირწყალი	ახალშობილი: 4-6 მგ/კგ/წთ ბაეში: 7-8 მგ/კგ/წთ	პერიფერიული ვენა: 12.5% გლუკოზა ცენტრალური ვენა: 25-30%	
ელექტროლიტები	Na: 3.5-4 მექვ/კგ/დღეში K: 0.5-1 მექვ/კგ/დღეში	4-5 მექვ/კგ/დღეში	
	Ca: 90 მგ/კგ/დღეში კალციუმის გლუკონატი ან 30 მგ/კგ/დღეში კალციუმის ქლორატი Mg: 30 მგ/კგ/დღეში ფოსფატი: 40 მგ/კგ/დღეში	1.5-2 მექვ/კგ/დღეში	2.5 მექვ/კგ/დღეში
ჰეპარინი	0.25-1.0 ერთ/მლ	1-2 ერთ/მლ	

ენერგეტიკული მოთხოვნილება

კატეგორია	ასაკი (წელი)	წონა (კგ)	ცილა (გ)	ენერგია (კკალ/კგ)	ენერგია (კკალ/დღეში)
ჩვილი	0.0-0.5	6	13	108	650
	0.5-1	9	14	98	850
ბაეშეები	1-3	13	16	102	1300

	4-6	20	24	90	1800
	7-10	28	28	70	2000
მოზარდი	11-14	45	45	55	2500
და	15-18	66	59	45	3000
მოზრდილი	19-24	72	58	40	2900
(კაცი)	25-50	79		37	2900
	51+	77		30	2300
მოზარდი	11-14	46	46	47	2200
და	15-18	55	44	40	2200
მოზრდილი	19-24	58	46	38	2200
(ქალი)	25-50	63		36	2200
	51+	65		30	1900

• ნევროლოგიური სტატუსის შეფასება

გლაზგოს შკალა – კომის სიღრმის შესაფასებლად (მოზრდილი, ბავშვი)		
თვალის გახეღა/ ოკულომოტორული რეაქცია	სპონტანური, მიზანმიმართული	4
	რეაქცია ხმაზე	3
	რეაქცია ტკივილზე	2
	რეაქცია არ არის	1
ვერბალური (მეტყველებითი) რეაქცია	კითხვაზე პასუხობს ადეკვატურად (ორიენტირებულია)	5
	კითხვაზე პასუხობს აბნეულად (დეზორიენტირებულია)	4
	კითხვაზე პასუხობს არაადეკვატურად	3
	წარმოთქვამს გაურკვეველ ბგერებს	2
	არ ლაპარაკობს	1
მოტორული რეაქცია	ასრულებს მითითებებს	6
	მიზანმიმართული მოძრაობა (ტკივილზე)	5
	მოცილება (ტკივილზე)/ამოძრავებს კიდურებს	4
	ტკივილზე კიდურების პათოლოგიური მოხრა (დეკორტიკაცია)	3
	ტკივილზე კიდურების პათოლოგიური გაშლა (დეცერებრაცია)	2
	მოძრაობა არ იღინიშნება	1

გლახგოს შკალა – კომის სიღრმის შესაფასებლად (ახალშობილი, ჩვილი)		
თვალის გახელა/ოკულომორტორული რეაქცია	სპონტანური, მიზანმიმართული	4
	რეაქცია ხმაზე	3
	რეაქცია ტკივილზე	2
	რეაქცია არ არის	1
ვერბალური (მეტყველებით) რეაქცია	სიცილი, ტივინი, ლულლული, მზერის გაყოლება	5
	გამაღიზიანებელი ტირილი	4
	ტირილი (ტკივილზე)	3
	კენესა (ტკივილზე)	2
	პასუხი არ არის	1
მოტორული რეაქცია	სპონტანური მოძრაობა	6
	მოცილება (შეხებაზე)	5
	მოცილება (ტკივილზე)	4
	ტკივილზე კიდურების პათოლოგიური მოხრა (დეკორტიკაცია)	3
	ტკივილზე კიდურების პათოლოგიური გაშლა (დეცერებრაცია)	2
	მოძრაობა არ აღენიშნება	1
15 ქულა – ნათელი ცნობიერება, 13-14 ქულა – სტუპორი, 9-12 ქულა – სოპორი, 4-8 ქულა – კომა, 3 ქულა – თავის ტვინის ქერქის სიკვდილის რეალური საშიშროება		

აპგარის შკალა		
აქტიუობა/კუნთთა ტონუსი	აქტიური მოძრაობა	2
	კიდურების მოხრა	1
	კუნთების პიპოტონია	0
პულსი/გულიცემის სიხშირე	100-ზე მეტი წუთში	2
	100-ზე ნაკლები წუთში	1
	არ არის	0
რეაქცია ცხვირში კათეტერის შეყვანაზე	ძლიერი ტირილი, ხველა, ცემინება	2
	სახის გრიმასი	1
	რეაქცია არ არის	0
კანის ფერი	ვარდისფერი	2
	აქროციანოზი	1
	ციანოზური/სიფერმკრთაღე	0
სუნთქვა	რეგულარული/ტირილი	2
	არარეგულარული, იშვიათი	1
	არ არის	0
აპგარით შეფასება ტარდება დაბადებიდან პირველ და მეხუთე წუთზე. თუ მეხუთე წუთზე ქულების ჯამი < 7-ზე, შეფასებას გატარებთ ყოველ 5 წუთში ერთჯერ 20 წუთამდე, სანამ ორი შეფასების ქულა არ გახდება ≥ 7		

• ეპილეფსიური სტატუსი

ეპილეფსიური სტატუსის მართვა მოზრდილებში	
დრო	ჩარევა
0-5 წთ	ABC, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი, საჭიროების დროს ინტუბაცია, ანამნეზი და ნევროლოგიური შეფასება ეენის კათეტერიზაცია და სისხლში ელექტროლიტების (Mg/Ca-ის ჩათვლით), გლუკოზის განსაზღვრა, სისხლის საერთო ანალიზი, თირკმლის/ღვიძლის ფუნქციური ტესტები, ტოქსიკოლოგიური ანალიზი და სისხლში ანტიკონვულსანტების დონის განსაზღვრა თიამინი 100 მგ IV დექსტროზის შეყვანამდე ჰიპერთერმიის შემთხვევაში ანტიპირეტული საშუალებები და ფიზიკური მეთოდები ლორაზეპამი 0.1 მგ/კგ IV (2 მგ/წთ) ან დიაზეპამი 0.2 მგ/კგ (5 მგ/წთ) ევგ მონიტორინგი
5-25 წთ (თუ კრუნჩხვა გრძელდება)	ფენიტოინი 20 მგ/კგ IV (50 მგ/წთ) ევგ და სასიცოცხლო ნიშნების მონიტორინგი
25-30 წთ (თუ კრუნჩხვა გრძელდება)	ფენიტოინი დამატებით 5-10 მგ/კგ IV (50 მგ/წთ)
30-50 წთ (თუ კრუნჩხვა გრძელდება)	ფენობარბიტალი 20 მგ/კგ IV (50-75 მგ/წთ) ან დაიწვეთ მომზადება ანესთეზიისათვის მიდაზოლამით ან პროპოფოლით (იხ. ქვემოთ)
50-60 წთ (თუ კრუნჩხვა გრძელდება)	ფენობარბიტალი დამატებით 5-10 მგ/კგ IV (50-75 მგ/წთ)
> 60 წთ (თუ კრუნჩხვა გრძელდება)	ანესთეზია ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მიდაზოლამი 0.2 მგ/კგ IV, შემდეგ ინფუზია 75-100 მკგ/კგ/სთ ან პროპოფოლი 1-2 მგ/კგ IV, შემდეგ ინფუზია 2-10 მგ/კგ/სთ დოზის კორექცია ევგ მონიტორინგის მიხედვით საჭიროებისას ინტუბაცია და ჰემოდინამიკური დახმარება.

ეპილეფსიური სტატუსის მართვა ბავშვებში

მიზეზები: ტრავმა, თავის ტვინის სიმსივნე, ელექტროლიტური დარღვევები, თავის ტვინის სისხლძარღვოვანი დაავადებები, კვების დარღვევები, თავის ტვინის განვითარების მანკები, მედიკამენტები, პოსტ-ტრავმული მდგომარეობები, მეტაბოლური დარღვევები, მოწამელა – ტოქსინები, ჰიპოქსიურ-იშემიური დაზიანება, ინფექცია, ინტრაკრანიალური ჰემატომა, თავის ტვინის დეგენერაციული დაავადებები, ფებრილური გულყრა, მეტაბოლიზმის თანდაყოლილი დარღვევა, იდიოპათიური ეპილეფსია

მართვა:

ABC

ინტრავენური მიდგომის უზრუნველყოფა

ჰიპოგლიკემია: 25%-იანი გლუკოზა სწრაფი ნაკადით 2 მლ/კგ

ჰიპოკალცემია: კალციუმის გლუკონატი 5%-იანი 4 მლ/კგ (200 მგ/კგ)

პირიდოქსინის ნაკლებობა: პირიდოქსინი 50-100 მგ დ/ან თიამინი 100 მგ IV.

ანტიკონვულსიური პრეპარატები

ლორაზეპამი (ატივანი)

დოზა: 0.05-0.2 მგ/კგ, მაქსიმუმ 8 მგ ერთჯერადად; შეყვანის გზა და წესი: IV, IM, IO. შესაძლებელია შეყვანა 15-30 წთ-ში ერთჯერ; გვერდითი მოვლენები: ჰიპოვენტილაცია, აპნოე, ჰიპოტენზია.

დიაზეპამი (ვალეუმი)

დოზა: 0.1-0.4 მგ/კგ, მაქსიმუმ 10 მგ ერთჯერადად; შეყვანის გზა და წესი: IV, IO, PR. შესაძლებელია შეყვანა 15-20 წთ-ში ერთჯერ 3-ჯერადად. რექტალური დოზა – 0.2-0.5 მგ/კგ; გვერდითი მოვლენები: ჰიპოვენტილაცია, აპნოე, ჰიპოტენზია.

მიდაზოლამი (დორმიკუმი)

დოზა: 0.1-0.2 მგ/კგ; შეყვანის გზა და წესი: IV, IM, IO, PR, IN. რექტალური დოზა – 0.5-1.0 მგ/კგ; გვერდითი მოვლენები: ჰიპოვენტილაცია, აპნოე, ჰიპოტენზია.

ფენობარბიტალი

დოზა: 15-20 მგ/კგ გაჯერების დოზა, მაქსიმუმ 40-50 მგ/კგ; შეყვანის გზა და წესი: IV, IM. ინტრავენურად 10-20 წთ-ის განმავლობაში; გვერდითი მოვლენები: ცნს-ის და სუნთქვის დეპრესია, ჰიპოტენზია.

ფენიტოინი (დილანტინი)

დოზა: 15-20 მგ/კგ გაჯერების დოზა, მაქსიმუმ 1000 მგ ერთჯერადად; შეყვანის გზა და წესი: IV, სიჩქარით 1-2 მგ/კგ/წთ-ში (10-20 წთ-ის

განმავლობაში). დაუშვებელია პრეპარატის შერევა გლუკოზის ხსნართან; **გვერდითი მოვლენები:** პიოტენზია, არითმია (ბრადიარითმია).

პარალელური

დოზა: 0.3 მლ (300 მგ/კგ, მაქსიმუმ 5 მლ; **შეყვანის გზა და წესი:** PR, განზაფხული 1 : 1 ზეითუნის ზეთთან.

ვალპროატის მჟავა (დეპაკინი)

დოზა: 20 მგ/კგ (კონცენტრაცია 250 მგ/5 მლ); **შეყვანის გზა და წესი:** PR, განზაფხული 1 : 1 წყალთან.

კრუნხვის მართვა ახალშობილებში

მიზეზები:

ნეეროლოგიური: პიოქსიურ-იშემიური ენცეფალოპათია, ინტრაკრანიალური ჰემატომა, პიოქსია, თავის ტვინის შეშუპება, კეთილთვისებიანი ოჯახური კონეულსიები, თავის ტვინის განვითარების მანკები, ზელეგერის სინდრომი, მედიკამენტური აბსტინენცია, სამშობიარო ტრავმა

მეტაბოლური: პიოგლიკემია, პიოკალცემია, პიომაგნემია, პიპონატრემია, პიპერნატრემია, მეტაბოლიზმის თანდაყოლილი დარღვევები, პიპეროსმოლარობა, პირიდოქსინის ნაკლებობა

ინფექცია: სეფსისი, მენინგიტი, აბსცესი

ჰემატოლოგიური: მწვავე ანემია, პოლიციტემია, ბილირუბინული ენცეფალოპათია

სხვადასხვა: სისხლძარღვოვანი პათოლოგიები

ჩარევა:

კეების შეწყვეტა

ინტრავენური მიდგომის უზრუნველყოფა

პიოგლიკემია: 10%-იანი გლუკოზა სწრაფი ნაკადით (2 მლ/კგ), შემდეგ 10%-იანი გლუკოზის ინფუზია 6-8 მგ/კგ/წთ-ში

პიოკალცემია: კალციუმის გლუკონატი 5%-იანი 4 მლ/კგ (200 მგ/კგ)

პიომაგნემია: მაგნიუმის სულფატი 50%-იანი 0.2 მლ/კგ IM

პირიდოქსინის ნაკლებობა: პირიდოქსინი 100 მგ IV. შემანარჩუნებელი

დოზა: 10 მგ/კგ/დღეში PO

ფენობარბიტალი - არჩევის პრეპარატი			
გაჯერების დოზა	შემანარჩუნებელი დოზა	თერაპიული დონე პლაზმაში	შენიშვნა
20 მგ/კგ IV 10-15 წთ-ის განმავლობაში. კრუნჩხვის 15-20 წთ-ზე მეტხანს პერსისტირების შემთხვევაში დამატებითი შეყვანა 5-10 მგ/კგ	3-4 მგ/კგ/დღეში 12 სთ-ში ერთჯერ IV, IM, PO.	20-40 მკგ/მლ	დამატებითი გაჯერების დოზის შეყვანა შესაძლებელია კრუნჩხვის შეჩერებამდე ან სისხლის შრატში პრეპარატის დონის მიღწევამდე 40 მკგ/მლ. შემანარჩუნებელი დოზა იწყება გაჯერების დოზის შეყვანიდან 24 სთ-ის შემდეგ
დილანტინი			
გაჯერების დოზა	შემანარჩუნებელი დოზა	თერაპიული დონე პლაზმაში	შენიშვნა
20 მგ/კგ IV სიჩქარით 1 მგ/კგ/წთ-ში. კრუნჩხვის პერსისტირების შემთხვევაში დამატებითი შეყვანა 10 მგ/კგ.	3-4 მგ/კგ/დღეში IV 12 სთ-ში ერთჯერ	20 მკგ/მლ	გაჯერების დოზა ინიშნება განზავების გარეშე და შემდეგ კათეტერის ჩარეცხვა ფიზიოლოგიური ხსნარით.
ლორაზეპამი			
გაჯერების დოზა		შენიშვნა	
0.05-0.1 მგ/კგ IV 2 წუთის განმავლობაში		შესაძლებელია რამდენჯერმე განმეორება	
ლიაზეპამი			
გაჯერების დოზა		შენიშვნა	
0.1-0.3 მგ/კგ IV		არ ინიშნება სიყვითლის დროს	

ანტიკონველსიური პრეპარატები ბავშვებში კრუნჩხვის ტიპის მიხედვით

ასაკი	უხშირესად გამოყენებული პრეპარატები	ალტერნატიული პრეპარატები
პირველადი გენერალიზებული ტონურ-კლონური კრუნჩხვა		
1-12 თვე	კარბამაზეპინი, ფენიტოინი, ფენობარბიტალი	ვალპროატი
1-6 თვე	კარბამაზეპინი, ფენიტოინი, ფენობარბიტალი	ვალპროატი
6-11 წელი	კარბამაზეპინი	ვალპროატი, ფენიტოინი, ფენობარბიტალი
პირველადი გენერალიზებული ტონურ-კლონური კრუნჩხვა აბსანსით ან მხოლოდ კრუნჩხვით		
1 თვე - 18 წელი	ვალპროატი	ფენიტოინი, ფენობარბიტალი, კარბამაზეპინი
აბსანსის ტიპის კრუნჩხვა		
ნებისმიერი ასაკი	ეტოსუქსიმინი	ვალპროატი, კლონაზეპამი, დიაკარბი, ლამოტრიგინი
მიოკლონური კრუნჩხვა		
ნებისმიერი ასაკი	ვალპროატი, კლონაზეპამი	ფენიტოინი, ფენობარბიტალი
ტონური და ატონური კრუნჩხვა		
ნებისმიერი ასაკი	ვალპროატი	ფენიტოინი, კლონაზეპამი, ფენობარბიტალი
პარციალური კრუნჩხვა		
1-12 თვე	ფენობარბიტალი	კარბამაზეპინი, ფენიტოინი
1-6 წელი	კარბამაზეპინი	ფენიტოინი, ფენობარბიტალი, ვალპროატი, ლამოტრიგინი, გაბაპენტინი
6-18 წელი	კარბამაზეპინი	ლამოტრიგინი, ფენიტოინი, ფენობარბიტალი,

		ვალპროატი
ინჟანტილური სპაზმები		
	კორტიკოტროპინი (ACTH)	პრედნიზოლონი, ვალპროატი, კლონაზეპამი, დიაზეპამი

• ბილირუბინის მართვა ახალშობილებში
ჰიპერბილირუბინემიის მართვა ჯანმრთელ დროულ ახალშობილებში
შრატის საერთო ბილირუბინი მგ/დლ (პმოლ/ლ)

ასაკი (სთ)	იფიქრეთ ფოტოთერაპიაზე*	ფოტოთერაპია	სისხლის შენაცვლებითი ტრანსფუზია თუ ინტენსიური ფოტოთერაპია უეფექტოა**	სისხლის შენაცვლებითი ტრანსფუზია და ინტენსიური ფოტოთერაპია
≤ 24***				
25-48	≥ 12 (170)	≥ 15 (260)	≥ 20 (340)	≥ 25 (430)
49-72	≥ 15 (260)	≥ 18 (310)	≥ 25 (430)	≥ 30 (510)
>72	≥ 17 (290)	≥ 20 (340)	≥ 25 (430)	≥ 30 (510)

შენიშვნა:

*ფოტოთერაპია არის არჩეული და დამოკიდებულია კლინიკურ გადამწყვეტილებაზე

** ინტენსიური ფოტოთერაპიის შედეგად შრატის საერთო ბილირუბინის მაჩვენებელმა უნდა დაიკლოს 1-2 მგ/დლ-ით 4-6 სთ-ის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ფოტოთერაპია მიჩნეულია უეფექტოდ.

*** დროული ახალშობილები, რომლებშიც სიყვითლე კლინიკურად გლინდება ≤ 24 სთ-ის განმავლობაში, არ ითვლებიან ჯანმრთელებად და საჭიროებენ შემდგომ შეფასებას.

ჰიპერბილირუბინემიის მართვა დღენაკლ ახალშობილებში
(ჯანმრთელი და ავადმყოფი) და ავადმყოფ დროულ ახალშობილებში

ჯანმრთელი ახალშობილები შრატის საერთო ბილირუბინი			ავადმყოფი ახალშობილები შრატის საერთო ბილირუბინი	
წონა (კგ)	ფოტოთერაპია	სისხლის შენაცვლე	ფოტოთერაპია	სისხლის შენაცვლები

		ბიოთი ტრანსფუზია		თი ტრანსფუზია
< 1500	5-8	13-16	4-7	10-14
1500-2000	8-12	16-18	7-10	14-16
2000-2500	12-15	18-20	10-12	16-18
>2500	იხილეთ წინა ცხრილი		13-15	17-22

• ტვინის სიკვდილი

ტვინის სიკვდილი – ეს არის მდგომარეობა, როდესაც ხდება ტვინის ტოტალური კედომა. ამასთანავე, რეანიმაციული ღონისძიებებით ხელოვნურად ნარჩუნდება გულის და სისხლის მიმოქცევის ფუნქციები, რაც სიცოცხლის ცრუ შთაბეჭდილებას ქმნის.

ტვინის სიკვდილის კრიტერიუმები

ტვინის ღეროს ფუნქციების არარსებობა

1. ოფთალმოლოგიური გამოკვლევა:

- “ფიქსირებული” გუგები: შუქზე გუგის რეაქციის არარსებობა
- კორნეალური რეფლექსების არარსებობა
- ოკულოცეფალური რეფლექსის არარსებობა (თოჯინის თვალები (doll's eyes) – საჭიროა სიფრთხილე ხერხეზლის კისრის მიდამოს დაზიანების დროს
- ოკულოვესტიბულარული რეფლექსის არარსებობა (სითბური სინჯი ცივი წყლით). 60-100 მლ ცივი წყლით ხდება ერთი ყურის გარეთა სასმენი მილის გამორეცხვა (არ ტარდება დაფის აპის დაზიანებისას), ამ დროს თავი წამოწეულია საწოლის პერიზონტალური სიბრტყიდან 30%-ით. ტვინის სიკვდილი გამოირიცხება, თუ ცივი წყლით გამორეცხვისას თვალის კაკლები ბრუნდება გამორეცხილი ყურის მხარეს. მეორე მხარეს პროცედურა მეორდება პირველი ცდიდან არანაკლებ 5 წუთის შემდეგ.

2. აპნოეს ტესტი:

სპონტანური სუნთქვითი მოძრაობის არარსებობა ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის აპარატიდან გამოთიშვის შემდეგ (მოგრძო ტვინის ფუნქციის განსასაზღვრად). არტერიულ სისხლში CO_2 პარციალური წნევის (PaCO_2) გაზრდა იწვევს ქალასშიდა წნევის მომატებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტვინის პერნიაცია და

ვაზომოტორული არასტაბილურობა, ამიტომ ეს ტესტი უნდა ჩატარდეს სულ ბოლოს, როდესაც სიკედილის მიზეზები ცხადი ხდება.

$\text{PaCO}_2 > 60 \text{ mmHg}$ და სუნთქვის არარსებობა ადასტურებს დიაგნოზს. ტესტი არ არის სარწმუნო ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (COPD) და გულის შეგუბებითი უკმარისობის (CHF) დროს. ტესტის ჩატარებისას უნდა გამოირიცხოს პიპოქსემია (გულის არითმიის და მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების საშიშროების გამო). ამ მიზნით პროცედურამდე 15 წუთის განმავლობაში ტარდება 100% ჟანგბადით ფილტვების ენტილაცია.

ტესტის დაწყებამდე ავადმყოფი გადაგვყავს ფილტვების ხელოვნურ ენტილაციაზე, რაც ინარჩუნებს $\text{PaCO}_2 > 40 \text{ mmHg}$ (ეს ამცირებს ტესტის ჩატარების დროს და საშუალებას იძლევა გაესარდოთ პიპოქსიის თავიდან აცილების ალბათობა).

ტესტის მიმდინარეობისას უნდა ხდებოდეს ჟანგბადის პასიური ინჰალაცია ნლ/წთ კათეტერის საშუალებით, რომელიც იდგმება Carina-ს ღონეზე.

ტესტი უნდა შეწყდეს, თუ:

- ავადმყოფი სუნთქავს (არ შეესაბამება სიკედილის განსაზღვრებას)
- ვითარდება გამოხატული არტერიული ჰიპოტონია
- ჟანგბადით გაჯერება (პულს-ოქსიმეტრია) ეცემა 80%-ზე დაბლა
- გამოხატულია არითმია

თუ პაციენტი არ სუნთქავს, ხდება სისხლის აირების განსაზღვრა ჩეულებრივი ინტერვალებით, მიუხედავად იმისა, თუ რამ გამოიწვია ტესტის შეწყვეტა. თუ $\text{PaCO}_2 > 60 \text{ mmHg}$ -ზე და ავადმყოფი არ სუნთქავს, ტესტი ითვლება დადებითად.

თუ $\text{PaCO}_2 < 60 \text{ mmHg}$, მაგრამ ავადმყოფის მდგომარეობა სტაბილურია, არის შესაძლებლობა სისხლის აირები განისაზღვროს რამდენიმე წუთში – ტესტი გრძელდება.

3. პირ-ხახის რეფლექსის არარსებობა

ძლიერ, ღრმა ცენტრალურ ტკივილზე მოტორული რეაქციის არარსებობა

- დეკორტიკაციული ან დეცერებრაციული პოზების არსებობა, აგრეთვე კრუნჩხვები გამორიცხავს ტვინის სიკედილის დიაგნოზს.
- სპინალური რეფლექსების არსებობა – ტერფის ფლექსორული რეფლექსი, პერიტონეალური, კრემასტერული რეფლექსები შესაძლებელია შენარჩუნებული იყოს ტვინის სიკედილის დროს. ზოგჯერ ადგილი აქვს რთულ, კომპლექსურ მოძრაობებს – ერთი ან ორივე ხელის სახესთან მოტანა, ან წამოჯდომის მცდელობა, ეგრეთწოდებული ლაზარეს სიმპტომი (განსაკუთრებით პიპოქსემიის დროს). ეს

მოძრაობები სავარაუდოდ უკავშირდება ზურგის ტვინის ზემო სეგმენტების დაუზიანებელი მამოძრავებელი ნეირონების სტიმულაციას. თუ ავადმყოფს აღენიშნება მსგავსი კომპლექსური მოძრაობები, ტვინის სიკედილის დიაგნოზის დასადგენად საჭიროა ჩატარდეს სხვა ტესტებიც.

ის სიტუაციები, რომლებიც ართულებენ დიაგნოზის დასმას და ახდენენ ტვინის სიკედილის სურათის სიმუღირებას

- პიპოთერმია: სხეულის ბაზისური ტემპერატურა უნდა იყოს $> 32^{\circ}\text{C}$
- ცნობები ენდოგენური და ეგზოგენური შექცევადი ინტოქსიკაციების არსებობის შესახებ, მედიკამენტური და მეტაბოლური გენეზის ინტოქსიკაციების ჩათვლით (ბარბიტურატები, ბენზოდიაზეპინები, მეპრობამატი, ტრიქლორეთილენი, პარალიზური საშუალებები, ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია, პიპეროსმოლარული კომა). თუ არსებობს ეჭვი, აუცილებელია, გაკეთდეს სისხლის და შარდის ლაბორატორიული გამოკვლევა პრეპარატების შემცველობაზე.
- შოკი (საშუალო არტერიული წნევა უნდა იყოს $> 90 \text{ mmHg}$) და პიპოქსია.
- უშუალოდ რენიმაციის შემდგომი მდგომარეობა (ფიქსირებული და გაფართოებული გუგები შესაძლებელია ატროპინის ზემოქმედებით იყოს გამოწვეული)
- ავადმყოფი ბარბიტურატებით გამოწვეული კომის შემდგომ (ბარბიტურატების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 10 მკგ/მლ)
- ტვინის სიკედილის დიაგნოზის დადასტურება ხდება: ელექტროენცეფალოგრაფიით, ცერებრული ანგიოგრაფიით, ცერებრული რადიონუკლიდური ანგიოგრაფიით. თავის ტვინის ღეროს სმენითი, გამოწვეული პოტენციალების შესწავლა არ ხდება, თუმცა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნეეროპათოლოგიის კონსულტაციის შემდეგ.

ავადმყოფზე დაკვირვება უნდა წარმოებდეს თავის ტვინის სიკედილის დიაგნოზის დადასტურებამდე და ჩატარებული გამოკვლევების შემდეგ გარკვეულ პერიოდში

თავის ტვინის მასიური, შეუქცევადი დაზიანებების დროს (მასიური სისხლჩაქცევა და სხვა), ზოგი ექსპერტის აზრით, შესაძლებელია ტვინის სიკედილის დიაგნოზის დასმა ერთჯერადი გამოკვლევით, რომელიც დასტურდება კლინიკური ტესტებით.

კლინიკურად დადასტურებული მდგომარეობის დროს, როცა შეუქცევადი დაზიანებები ეჭვგარეშეა და როდესაც ეს მდგომარეობა დასტურდება კლინიკური ტესტებით, განმეორებითი გამოკვლევა უნდა ჩატარდეს 6 საათში.

კლინიკურად დადასტურებული მდგომარეობის დროს, როცა შეუქცევადი დაზიანებები ეჭვგარეშეა და როდესაც ეს მდგომარეობა არ დასტურდება კლინიკური ტესტებით, განმეორებითი გამოკვლევა უნდა ჩატარდეს 12 საათში.

კლინიკურად დაუდასტურებული მდგომარეობის დროს, კლინიკური ტესტების არარსებობის დროს, განმეორებითი გამოკვლევა უნდა ჩატარდეს 12-24 საათში.

ტვინის ანოქსიური დაზიანების, როგორც ტვინის სიკვდილის მიზეზის დროს – 24 საათში, თუმცა ეს დრო შესაძლებელია შემცირდეს ტვინის სისხლის მიმოქცევის არარსებობის დადგენის შემდეგ.

დამადასტურებელი გამოკვლევები:

ცერებრული ანგიოგრაფია

ელექტროენცეფალოგრაფია

ტვინის რადიონუკლიდური ანგიოგრაფია (CRAG)

• მომატებული არტერიული წნევის მართვა მწვავე იშემიური ინსულტის დროს

არტერიული წნევის დონე mmHg	მკურნალობა
1. არ არის ფიზიოლოგიური თერაპიის კანდიდატი სისტოლური წნევა ≤ 220 ან დიასტოლური ≤ 120	• დაკვირვება, თუ არ არის სხვა ორგანოების დაზიანების ნიშნები (მაგ: აორტის გაგლეჯა, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, ფილტვის შეშუპება, პიპერტენზიული ენცეფალოპათია) • ჩატარდეს ინსულტის სხვა სიმპტომების მკურნალობა (მაგ: თავის ტკივილი, აგზნება, გულისრევა, ღებინება) • ჩატარდეს ინსულტის სხვა მწვავე გართულებების მკურნალობა (მაგ: პიპოქსია, მომატებული ინტრაკრანიალური წნევა, კრუნჩხვა, პიპოგლიკემია)

	შემდეგ ყოველ 30 წთ-ში 6 სთ-ის განმავლობაში და ბოლოს ყოველ 1 სთ-ში 16 სთ-ის განმავლობაში
2. დიასტოლური წნევა > 140	• ნატრიუმის ნიტროპრუსიდი 0.5 მკგ/კგ/წთ IV ინფუზია და დოზის ტიტრაცია სასურველი არტერიული წნევის მიღწევამდე
3. სისტოლური წნევა > 230 ან დიასტოლური 121-140	ან • ლაბეტალოლი 10 მგ IV 1-2 წთ-ის განმავლობაში, შეიძლება დოზის გაძეგნება ან გაორმაგება 10 წთ-ში ერთჯერ, მაქსიმუმ 300 მგ-მდე, ან ლაბეტალოლის საწყისი დოზა და შემდეგ ინფუზია 2-8 მგ/წთ • ნიკარდიპინი 5 მგ/სთ IV ინფუზია და დოზის ტიტრაცია სასურველი ეფექტის მიღწევამდე დოზის მომატებით 2.5 მგ/სთ ყოველ 5 წთ-ში მაქსიმუმ 15 მგ/სთ-მდე. • ლაბეტალოლის უეფექტობის შემთხვევაში განიხილეთ ნატრიუმის ნიტროპრუსიდი
4. სისტოლური წნევა 180-230 ან დიასტოლური 105-120	• ლაბეტალოლი 10 მგ IV 1-2 წთ-ის განმავლობაში, შეიძლება დოზის გაძეგნება ან გაორმაგება 10-20 წთ-ში ერთჯერ, მაქსიმუმ 300 მგ-მდე, ან ან ლაბეტალოლის საწყისი დოზა და შემდეგ ინფუზია 2-8 მგ/წთ

• მომატებული ინტრაკრანიალური წნევის მართვა

ინტრაკრანიალური წნევის მომატების მიზეზები

თავის ტრავმა

- ინტრაკრანიალური ჰემატომა (ექსტრადურული, სუბდურული, ინტრაცერებრული)
- ტვინის დიფუზური შეშუპება
- ტვინის დაჟეჟილობა

ცერებროვასკულარული

- სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა
- ინტრაცერებრული ჰემატომა
- ტვინის ვენების თრომბოზი
- ტვინის მასიური ინფარქტი
- ჰიპერტენზიული ენცეფალოპათია (აეთვისებიანი ჰიპერტენზია, ეკლამფსია)

ჰიდროცეფალია

- თანდაყოლილი ან შეძენილი
- ობსტრუქციული ან კომუნიკაციური

კრანოცერებრული დისპროპორცია

- ტვინის სიმსივნეები (ცისტა, კეთილთვისებიანი ან აეთვისებიანი სიმსივნეები)
- მეორადი ჰიდროცეფალია
- მას ეფექტი
- შეშუპება

“კეთილთვისებიანი” ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია (იდიოპათიური ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია)

ცნს-ის ინფექცია

- მენინგიტი
- ენცეფალიტი
- ტვინის აბსცესი
- მეორადი ჰიდროცეფალია

მეტაბოლური ენცეფალოპათია

- ჰიპოქსიურ-იშემიური
- რეიეს სინდრომი
- ღვიძლისმიერი კომა
- თირკმლის უკმარისობა
- დიაბეტური კეტოაციდოზი
- დამწვრობა
- დახრჩობა

- **ჰიპონატრემია**
ეპილეფსიური სტატუსი

ინტრაკრანიალური წნევის მონიტორინგის ჩვენებები

თავის ტრავმა (ტვინის ტრავმის ფონდის გაიდლაინის მიხედვით)

- თავის მძიმე ტრავმა (GCS – 3-8 ქულა) და CT დარღვევებით
- თავის მძიმე ტრავმა (GCS – 3-8 ქულა) და CT დარღვევების გარეშე და შემდეგი კრიტერიუმებიდან ორის არსებობისას:
 1. ასაკი > 40 წელი
 2. სისტოლური არტერიული წნევა < 90 mmHg
 3. უნილატერალური ან ბილატერალური იშულებითი პოზიცია (posturing)

ინტრაცერებრული და სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა

- GCS < 9
- პოსტოპერაციულად მიმდინარე ინტრაოპერაციული გართულებები
- პიდროცეფალია

სხვადასხვა მიზეზით განპირობებული ჰიპერტენზია GCS < 9 და ტვინის შეშუპების CT დადასტურებული ცვლილებებით

- მეტაბოლური (დეიძლის უკმარისობა)
- ჰიპოქსია/იშემია (ინსულტი, გულის გაჩერების შემდგომი პერიოდი)
- ცნს-ის ინფექციები

ჰიდროცეფალია და კეთილთვისებიანი ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია

პრობლემები და მდგომარეობები, რომლებიც ხელს უწყობს მომატებული ინტრაკრანიალური წნევის გაუარესებას

ინტრაკრანიალური და არტერიული წნევის ტრანსდუსერებისა და მონიტორების არასწორი კალიბრაცია

- შეამოწმეთ კალიბრაცია და არტერიული წნევის ტრანსდუსერი

თავიდან ვენური დრენირების ობსტრუქცია

- თავისა და კისრის არასწორი მდებარეობა
- არ დააფიქსიროთ ენდოტრაქეული მილი კისრის გარშემო

კარდიოვასკულარული

- არაადეკვატური ცერებრული პერფუზიული წნევა (დაბალი – ჰიპოპერლემია, ან მაღალი)
- ტვინის სისხლძარღვების გამაფართოვებელი საშუალებები

რესპირატორული

- ჰიპერკაპნია/ჰიპოქსია

- შეუსაბამო PEEP
- ჭარბი სეკრეცია, ბრონქოსპაზმი

მეტაბოლური

- ცხელება
- ჰიპერგლიკემია
- ჰიპო-ოსმოლარული ხსნარების ინფუზია

არასაკმარისი ანალგეზია/სედაცია

- ადეკვატური ანალგეზია/სედაციის დროს განიხილეთ კუნთოვანი რელაქსანტები

კრუნხვები

მომატებული ICP მართვა პრეჰოსპიტალურ ეტაპზე

- სასუნთქი გზების აგრესიული მართვა და კონტროლირებადი ვენტილაცია ადეკვატური ოქსიგენაციითა და PaCO_2 -ის ნორმალიზაციით
- ჩვენების დროს ხერხემლის კისრის ნაწილის იმობილიზაცია
- ნევროლოგიური დარღვევების და დეფიციტის შეფასება
- გლაზგოს კომის შეაღის დადგენა
- 30°-ით თავის წამოწევა
- შესაძლო ექსტრაკრანიალური დაზიანებებით განპირობებული ჰიპოტენზიის კორექცია

მომატებული ICP მართვა უგონო მოზრდილ პაციენტებში.

რეანიმაციული ღონისძიებები

- ინტუბაცია და ვენტილაცია
- ინტრავენური მანიტოლი – 0.2 მლ/კგ.
- საბოლოო კვლევები
- 1. CT
- 2. ინტრაკრანიალური წნევის მონიტორინგი

მომატებული ინტრაკრანიალური წნევის მართვა

- სპეციფიკური ეტიოლოგიური მკურნალობა
- ცისტის, აბსცესის ასპირაცია

ჰიდროცეფალია: გარეგანი ვენტრიკულური დრენაჟი

- მოახდინეთ ცერებროსპინალური სითხის დრენირება

ტვინის შეშუპება

- დექსამეტაზონი მხოლოდ სიმსივნეების დროს. არ გამოიყენოთ ტრავმების შემთხვევაში
- ზოგიერთ შემთხვევაში ტვინის აბსცესის დროს

შეინარჩუნეთ ცერებრული პერფუზიული წნევა ≥ 70 mmHg

CPP = MAP - ICP

შეინარჩუნეთ ინტრაკრანიალური წნევა ≤ 25 mmHg

- თავიდან აიცილეთ პრობლემები, რომლებიც აუარესებენ მომატებულ ინტრაკრანიალურ წნევას
- საწოლის თავი აწიეთ 30° -ით
- ადეკვატური სედაცია (მიდაზოლამი), ანალგეზია (პროპოფოლი – 2-5 მგ/კგ/სთ, ფენტანილი – 1-2 მკგ/კგ/სთ, თიოპენტალი – 250 მგ ბოლუსური შეყვანა, მაქსიმუმ 3-5 გ-მდე, შემდეგ 4-8 მგ/კგ/სთ) და ნერვ-კუნთოვანი ბლოკადა (ატრაკურიუმ – 0.5 მგ/კგ/სთ)
- ოპტიმალური ვენტილაცია და ოქსიგენაცია – შეინარჩუნეთ PaCO_2 30-33 mmHg-ის ფარგლებში, $\text{PaO}_2 \geq 82$ mmHg-ის ფარგლებში, შიგნითა საუფლეს ვენის ჟანგბადის სატურაცია $> 55\%$, $\text{SpO}_2 \geq 97\%$
- შეამოწმეთ PEEP/ ვენური ობსტრუქციის არსებობა
- აქტიურად უმკურნალოთ კრუნჩხვას (ფენიტოინი – 15 მგ/კგ)
- შეინარჩუნეთ ზომიერი ჰიპოთერმია – ტემპერატურა $\leq 37^\circ\text{C}$
- 20% მანიტოლის ბოლუსური შეყვანა 2 მლ/კგ (პლაზმის სამიზნე ოსმოლარობა 310 მმოლ/ლ)

პლაზმის ოსმოლარობა =

$$= 2 \times \text{Na} + \frac{\text{გლუკოზა (მგ/დლ)}}{18} + \frac{\text{შარდოვანა (მგ/დლ)}}{2.8}$$

- განიხილეთ ინტრავენური ანესთეზია ცერებრული მეტაბოლური მოთხოვნილების შესამცირებლად – პროპოფოლი 2-5 მგ/კგ/სთ
- განიხილეთ ქირურგიული დეკომპრესია (ძელის ფრაგმენტის, დაეჭვილი საფეთქლის ან შუბლის წილის მოცილება)

უზრუნველყავით ადეკვატური საშუალო არტერიული წნევის მარეგულირება

- ადეკვატური პიდრატაცია
- თავიდან აიცილეთ გადაჭარბებული სედაცია
- ოპტიმალური მოცულობითი სტატუსი (მარჯვენა წინაგულის წნევის – CVP – 6-10 mmHg/ფილტვის კაპილარული ჩაჭედვის წნევის მონიტორინგი)
- განიხილეთ ვაზოაქტიური პრეპარატები (ნორადრენალინი, დოპამინი, ფენილეფრინი)

საჭიროების დროს განმეორებითი CT (თრომბის განვითარება/პიდროცეფალია)

მომატებული ICP მართვა ბავშვებში

მომატებული ICP და მოსალოდნელი პერინაციის კლინიკური ნიშნები
ადრეული კლინიკური ნიშნები

თავის ტკივილი

გულისრევა და ღებინება

ცნობიერების პროგრესული დარღვევა

მოგვიანებითი კლინიკური ნიშნები

გაფართოებული გუგები

იძულებითი პოზა

კუშინგის ტრიადა: ბრადიკარდია, ჰიპერტენზია, სუნთქვის დარღვევა

შენიშვნა: საწყის ეტაპზე ბრადიკარდია შეიძლება იყოს ერთადერთი სიმპტომი

მსუბუქად მომატებული ICP მართვა

(GCS ≥ 9 , ნევროლოგიური დარღვევები არ ელინდება)

1. **რესპირატორული სტატუსი:** უზრუნველყავით ჟანგბადის მიწოდება
 - ინტუბაცია, ვენტილაცია საჭიროების დროს
2. **ცირკულაციის აღდგენა და შენარჩუნება**
 - ფიზიოლოგიური ან რინგერის ხსნარი 10-20 მლ/კგ ბოლუსური შეყვანა, გაიმეორეთ ცირკულაციის აღდგენამდე (ადეკვატური MAP, CPP)
 - ინოტროპები გულის უკმარისობის დროს
3. **თავის პოზიცია**
 - საწოლის თავი აწიეთ 30°-ით
 - შეინარჩუნეთ თავი პირდაპირ პოზიციაში
4. **მინიმუმამდე დაიყვანეთ აგზნება, მოუსვენრობა**
5. **ჩადგით ნაზო-გასტრალური ზონდი უგონო, კომატოზურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებში**
6. **შეწვევით საკვების და სითხეების მიღება**
7. **IV თერაპია**
 - გადასახმელი ხსნარი უნდა შეიცავდეს NaCl
 - ჰიპოკალემიის დროს შეიყვანეთ პლაზმის მოცულობის აღმდგენი საშუალებები
8. **თავიდან აიცილეთ პრობლემები, რომლებიც აუარესებენ მომატებულ ინტრაკრანიალურ წნევას**
9. **სხვა პრეპარატები ჩვენების მიხედვით**
 - კორტიკოსტეროიდები (დექსამეტაზონი 0.5-1.0 მგ/კგ/დღეში 6 სთ-ში ერთჯერ ტეინის აბსცესის ან სიმსივნის დროს, სადაოა მენინგიტის დროს)
 - მანიტოლი – 0.25-1.0 გ/კგ IV 10-20 წთ-ის განმავლობაში (CT დადასტურებული ტეინის შეშუპების დროს) და ფუროსემიდი – 1 მგ/კგ
10. **სპეციფიკური ეტიოლოგიური მკურნალობა**

ზომიერად მომატებული ICP მართვა

(GCS ≤ 8, სახეზეა ნევროლოგიური დარღვევები)

1. ინტუბაცია, პიპერვენტილაცია

- სწრაფი თანმიმდევრული ინტუბაცია დადგენილი წესის მიხედვით

• ვენტილაციის რეჟიმები:

- (1) FiO_2 100%
- (2) ნორმაზე მაღალი სუნთქვის სიხშირე
- (3) სუნთქვის მოცულობა 10-15 მლ/კგ
- (4) PEEP 3-4 mmHg

• სისხლის გაზების სამიზნე მაჩვენებლები:

- (1) $\text{PaO}_2 > 100$ mmHg
- (2) $\text{PaCO}_2 - 30-33$ mmHg-ის ფარგლებში
- (3) $\text{pH} > 7.35$

2. აგზნების მართვა

- სედაცია (ნარკოტიკული ანალგეტიკები – მორფინის სულფატი ან ფენტანილი, ბენზოდიაზეპინები – მიდაზოლამი, ლორაზეპამი ან დიაზეპამი)

- ნერვ-კუნთოვანი ბლოკადა (პანკურონიუმი ან ვეკურონიუმი)

3. მანიტოლი – 0.25-1 გ/კგ IV, ფუროსემიდი – 1 მგ/კგ

4. ზომიერი (კონტროლირებადი) ჰიპოთერმია

- ბარბიტურატები (პროპოფოლი, თიოპენტალი)

5. სპეციფიკური ეტიოლოგიური მკურნალობა

• ტრანსფუზია

სისხლისა და მისი კომპონენტების ტრანსფუზია

მოცირკულირე სისხლის მოცულობა (მსმ)

ასაკი	სისხლის მოცულობა (მლ/კგ)
დღენაკლი ახალშობილი	100
დროული ახალშობილი	90
>1 თვე	80
>1 წელი	70
მოზრდილი	60-70

მოსალოდნელი სისხლის მოცულობა (EBV) = წონა (კგ) × სისხლის მოცულობა (მლ)

(იხ. ცხრილში)

პლაზმის მოცულობა

50 მლ/კგ ბავშვებში

40 მლ/კგ მოზრდილებში

1 გ პემოგლობინი (Hb) = ჰემატოკრიტი (Hct) 3%

პემორაგიული შოკის დროს სისხლის ან მისი კომპონენტების გადასხმამდე მოცირკულირე სისხლის მოცულობის შესავსებად გამოიყენება ფიზიოლოგიური ხსნარის ან რინგერის ხსნარის ბოლუსური ინფუზია 10-20 მლ/კგ. ამასთანავე, ყოველი 1 მლ მოცირკულირე სისხლის დანაკარგის შესავსებად საჭიროა 3 მლ კრისტალოიდის ხსნარი, რადგან გადასხმული კრისტალოიდის მხოლოდ 1/3 რჩება ინტრავასკულარულ სივრცეში.

ერიტროციტული მასა

ერიტროციტული მასის ერთი დოზა 200-250 მლ, ჰემატოკრიტი 60-80%.

ლეიკოციტების და პლაზმის შემცველობა მერყეობს.

გადასახმელი ერიტროციტული მასის მოცულობა (მლ) =

(Ht სასურველი – Ht საწყისი) × მოცირკულირე სისხლის მოცულობა (მლ) / Ht ერიტროციტული მასის

1 მლ/კგ ერიტროციტული მასის ტრანსფუზია ზრდის ჰემატოკრიტს:

- 1%-ით, როდესაც პაციენტი არის ეუვოლემიური, არ აღენიშნება მიმდინარე სისხლდენა, ჰემოლიზი ან DIC.
- <1%-ით, როდესაც პაციენტი არის ჰიპოვოლემიური, აღენიშნება მიმდინარე სისხლდენა, ჰემოლიზი ან DIC.

ერიტროციტული მასის მოცულობა – 10-15 მლ/კგ 2-6 სთ-ის განმავლობაში.

ჰემატოკრიტის მოსალოდნელი მომატება:

- 10-15% ეუვოლემიურ პაციენტებში, რომლებსაც არ აღენიშნებათ ერიტროციტების მიმდინარე კარგვა
- < 10-15 % ჰიპოვოლემიურ პაციენტებში, რომლებსაც აღენიშნებათ ერიტროციტების მიმდინარე კარგვა

ახლადგაყინული პლაზმა

ახლადგაყინული პლაზმის 1 ერთეული შეადგენს 250 მლ და შეიცავს ყველა შემადგენელ ფაქტორს.

დოზირება: 10-20 მლ/კგ

10 მლ/კგ ახლადგაყინული პლაზმის ტრანსფუზია 20%-ით ზრდის სისხლში შემადგენელი ფაქტორების აქტივობას.

კრიოპრეციპიტატი

კრიოპრეციპიტატის 1 ერთეული შეიცავს 250 მგ ფიბრინოგენს. (1 ერთეული = 5-10 მლ). პლაზმაში შეწონილია 80-100 ერთ ფაქტორი VIII და 75 ერთ ფაქტორი XII.

1 ერთეული კრიოპრეციპიტატი / 5 კგ სხეული წონა ზრდის ფიბრინოგენის დონეს 100 მგ/დლ-ით

ზომიერად მომატებული ICP მართვა

(GCS ≤ 8 , სახეზეა ნევროლოგიური დარღვევები)

1. ინტუბაცია, პიპერვენტილაცია

- სწრაფი თანმიმდევრული ინტუბაცია დადგენილი წესის მიხედვით

• ვენტილაციის რეჟიმები:

- (1) FiO_2 100%
- (2) ნორმაზე მაღალი სუნთქვის სიხშირე
- (3) სუნთქვის მოცულობა 10-15 მლ/კგ
- (4) PEEP 3-4 mmHg

• სისხლის გაზების საზიზნე მაჩვენებლები:

- (1) $\text{PaO}_2 > 100$ mmHg
- (2) $\text{PaCO}_2 - 30-33$ mmHg-ის ფარგლებში
- (3) $\text{pH} > 7.35$

2. აგზნების მართვა

- სედაცია (ნარკოტიკული ანალგეტიკები = მორფინის სულფატი ან ფენტანილი, ბენზოდიაზეპინები - მიდაზოლამი, ლორაზეპამი ან დიაზეპამი)

- ნერვ-კუნთოვანი ბლოკადა (პანკურონიუმი ან ვეკურონიუმი)

3. მანიტოლი - 0.25-1 გ/კგ IV, ფუროსემიდი - 1 მგ/კგ

4. ზომიერი (კონტროლირებადი) ჰიპოთერმია

- ბარბიტურატები (პროპოფოლი, თიოპენტალი)

5. სპეციფიკური ეტიოლოგიური მკურნალობა

• ტრანსფუზია

სისხლისა და მისი კომპონენტების ტრანსფუზია

მოცირკულირე სისხლის მოცულობა (მსმ)

ასაკი	სისხლის მოცულობა (მლ/კგ)
დღენაკლი ახალშობილი	100
დროული ახალშობილი	90
>1 თვე	80
>1 წელი	70
მოზრდილი	60-70

მოსალოდნელი სისხლის მოცულობა (EBV) = წონა (კგ) $\times$ სისხლის მოცულობა (მლ)

(იხ. ცხრილში)

პლაზმის მოცულობა

50 მლ/კგ ბავშვებში

40 მლ/კგ მოზრდილებში

1 გ ჰემოგლობინი (Hb) = ჰემატოკრიტი (Hct) 3%

ჰემორაგიული შოკის დროს სისხლის ან მისი კომპონენტების გადასხმამდე მოცირკულირე სისხლის მოცულობის შესავსებად გამოიყენება ფიზიოლოგიური ხსნარის ან რინგერის ხსნარის ბოლუსური ინფუზია 10-20 მლ/კგ. ამასთანავე, ყოველი 1 მლ მოცირკულირე სისხლის დანაკარგის შესავსებად საჭიროა 3 მლ კრისტალოიდის ხსნარი, რადგან გადასხმული კრისტალოიდის მხოლოდ 1/3 რჩება ინტრავასკულარულ სივრცეში.

ერთროციტული მასა

ერთროციტული მასის ერთი დოზა 200-250 მლ, ჰემატოკრიტი 60-80%.

ლეიოციტების და პლაზმის შემცველობა მერყეობს.

გადასახმელი ერთროციტული მასის მოცულობა (მლ) =

(Ht სასურველი - Ht საწყისი) × მოცირკულირე სისხლის მოცულობა (მლ) / Ht ერთროციტული მასის

1 მლ/კგ ერთროციტული მასის ტრანსფუზია ზრდის ჰემატოკრიტს:

- 1%-ით, როდესაც პაციენტი არის ეუვოლემიური, არ აღენიშნება მიმდინარე სისხლდენა, ჰემოლიზი ან DIC
- <1%-ით, როდესაც პაციენტი არის ჰიპოვოლემიური, აღენიშნება მიმდინარე სისხლდენა, ჰემოლიზი ან DIC

ერთროციტული მასის მოცულობა – 10-15 მლ/კგ 2-6 სთ-ის განმავლობაში.

ჰემატოკრიტის მოსალოდნელი მომატება:

- 10-15% ეუვოლემიურ პაციენტებში, რომლებსაც არ აღენიშნებათ ერთროციტების მიმდინარე კარგვა
- < 10-15 % ჰიპოვოლემიურ პაციენტებში, რომლებსაც აღენიშნებათ ერთროციტების მიმდინარე კარგვა

ახლადგაყინული პლაზმა

ახლადგაყინული პლაზმის 1 ერთეული შეადგენს 250 მლ და შეიცავს ყველა შემადგენელ ფაქტორს.

დოზირება: 10-20 მლ/კგ

10 მლ/კგ ახლადგაყინული პლაზმის ტრანსფუზია 20%-ით ზრდის სისხლში შემადგენელი ფაქტორების აქტივობას.

კრიოპრეციპიტატი

კრიოპრეციპიტატის 1 ერთეული შეიცავს 250 მგ ფიბრინოგენს. (1 ერთეული = 5-10 მლ). პლაზმაში შეწონილია 80-100 ერთ ფაქტორი VIII და 75 ერთ ფაქტორი XII.

1 ერთეული კრიოპრეციპიტატი / 5 კგ სხეული წონა ზრდის ფიბრინოგენის დონეს 100 მგ/დლ-ით

დოზირება: ფიბრინოგენის საჭირო რაოდენობა (მგ) = წონა (კგ) × 0.4
 × ფიბრინოგენის საწირო ცელილება

თრომბოციტული მასა

1 ერთეული თრომბოციტების კონცენტრატი / 7 კგ ზრდის

თრომბოციტების რიცხვს 50-100 000-ით

თრომბოციტული მასის ტრანსფუზიის ხანგრძლივობა - 15-30 წთ.

თრომბოციტების კონცენტრატი: 1 ერთეული = 60 მლ

დოზირება: 0.1 ერთ/კგ

ერთროციტული მასა

პაციენტის სისხლის ჯგუფი და რეზუსი		დონორის ჯგუფი და რეზუსი			
		პირველი არჩევანი	მეორე არჩევანი	მესამე არჩევანი	მეოთხე არჩევანი
O	Neg.	O Neg.	-	-	-
	Pos.	O Pos./Neg.	-	-	-
A	Neg.	A Neg.	O Neg.	-	-
	Pos.	A Pos./Neg.	O Pos./Neg.	-	-
B	Neg.	B Neg.	O Neg.	-	-
	Pos.	B Pos./Neg.	O Pos./Neg.	-	-
AB	Neg.	AB Neg.	B Neg.	A Neg.	O Neg.
	Pos.	AB Pos./Neg.	B Pos./Neg.	A Pos./Neg.	O Pos./Neg.

თრომბოციტული მასა

პაციენტის სისხლის ჯგუფი და რეზუსი		დონორის ჯგუფი და რეზუსი			
		პირველი არჩევანი	მეორე არჩევანი	მესამე არჩევანი	მეოთხე არჩევანი
O	Neg.	O Neg.	A Neg.	B Neg.	AB Neg.
	Pos.	O Pos./Neg.	A Pos./Neg.	B Pos./Neg.	AB Pos./Neg.
A	Neg.	A Neg.	AB Neg.	B Neg.	O Neg.
	Pos.	A Pos./Neg.	AB Pos./Neg.	B Pos./Neg.	O Pos./Neg.
B	Neg.	B Neg.	AB Neg.	A Neg.	O Neg.
	Pos.	B Pos./Neg.	AB Pos./Neg.	A Pos./Neg.	O Pos./Neg.
AB	Neg.	AB Neg.	A Neg.	B Neg.	O Neg.
	Pos.	AB Pos./Neg.	A Pos./Neg.	B Pos./Neg.	O Pos./Neg.

• ტოქსიკოლოგია

ტოქსინებით გამოწვეული სინდრომები (Toxidrome)

ანტიქოლინერგული

სიმპტომები: მიდრიაზი, მხედველობის დაბინდვა, ცხელება, კანის სიმშრალე, პიპერემია, გაუვალობა, შარდის შეკავება, ტაქიკარდია, პიპერტენზია, ფსიქოზი, კომა, კრუნჩხვები, მიოკლნუსი; **მედიკამენტი / ტოქსინი:** ანტიჰისტამინური საშუალებები, ატროპინი, ბაქლოფენი, ბენზტროპინი, ციკლური ანტიდეპრესანტები, ფენოთიაზინები, პროპანთედლინი, სკოპოლამინი; **ანტიდოტი:** ფიზოსტიგმინი (არ გამოიყენოთ ციკლური ანტიდეპრესანტებით მოწამელის დროს), ნატრიუმის ბიკარბონატი (ციკლური ანტიდეპრესანტებით მოწამელის შემთხვევაში).

ქოლინერგული

სიმპტომები: საღებავცია, შარდვა, დიარეა, კუჭ-ნაწლავის სისტემის სპაზმები, ღებინება, ქოშინი, ოფლიანობა, ბრონქორეა, ბრადიკარდია, მიოზი; **მედიკამენტი / ტოქსინი:** კარბამატი, ფოსფოროგანული ნაერთები, ფიზოსტიგმინი, პილოკარპინი; **ანტიდოტი:** ატროპინი, პრალიდოქსიმი (ფოსფოროგანული ნაერთების საწინააღმდეგოდ).

ბეტა ადრენერგული

სიმპტომები: ტაქიკარდია, პიპოტენზია, ტრემორი; **მედიკამენტი / ტოქსინი:** ალბუტეროლი, კოფეინი, ტერბუტალინი, თეოფილინი; **ანტიდოტი:** ბეტა ბლოკატორები (სიფრთხილით გამოიყენეთ ასთმის დროს).

ალფა ადრენერგული

სიმპტომები: პიპერტენზია, ბრადიკარდია, მიდრიაზი; **მედიკამენტი / ტოქსინი:** ფენილეფრინი, ფენილპროპანოლამინი; **ანტიდოტი:** პიპერტენზიის დროს ფენტოლამინი ან ნიტროპრუსიდი; არ გამოიყენება მხოლოდ ბეტა ბლოკერები.

ალფა და ბეტა ადრენერგული

სიმპტომები: პიპერტენზია, ტაქიკარდია, მიდრიაზი, ოფლიანობა, ლორწოვანების სიმშრალე; **მედიკამენტი / ტოქსინი:** ამფეტამინები, კოკაინი, ეფედრინი, ფენციკლიდინი, ფსევდოეფედრინი; **ანტიდოტი:** ბენზოლიაზეპინები.

სედაციურ/ჰიპნოზური

სიმპტომები: სტუპორი და კომა, კონფუზია, გაუგებარი მეტყველება, აპნოე; **მედიკამენტი/ტოქსინი:** ანტიკონვულსანტები, ანტიფსიქოზური, ბარბიტურატები, ბენზოლიაზეპინები, ეთანოლი, მეპრობამატი, ოპიატები; **ანტიდოტი:** ოპიატების შემთხვევაში — ნალოქსონი,

ბენზოდიաზეპინების დროს – ფლუმაზენილი, ფენობარბიტალის შემთხვევაში – შარდის გატუტიანება.

ჰალუცინოგენური

სიმპტომები: ჰალუცინაციები, ფსიქოზი, პანიკა, ცხელება, მიდრიაზი, ჰიპერთერმია; **მედიკამენტი / ტოქსინი:** ამფეტამინები, კანაბინოიდები, კოკაინი, ლსდ; **ანტიდოტი:** ბენზოდიაზეპინები, ჰალოპერიდოლი.

ექსტრაპირამიდული

სიმპტომები: რიგიდობა/ტრემორი, ოპისტოტონუსი, ტრიზმი, ჰიპერრეფლექსია, ქორეოათეტოზი; **მედიკამენტი / ტოქსინი:** ჰალოპერიდოლი, ფენოთიაზინები; **ანტიდოტი:** დიფენილჰიდრამინი, ბენზტროპინი.

ნარკოტიკული

სიმპტომები: შეცვლილი ცნობიერება, ნელი სუნთქვა, მოიზი, ბრადიკარდია, ჰიპოტენზია, ჰიპოთერმია, შესუსტებული პერისტალტიკა; **მედიკამენტი / ტოქსინი:** დექსტრომეთორფანი, ოპიოიდები, პენტაზოცინი, პროპოქსიფენი; **ანტიდოტი:** ნალოქსონი.

სეროტონინული სინდრომის გამომწვევი აგენტები

სიმპტომები: გაღიზინებადობა, ჰიპერრეფლექსია, ჰიპერემია, დიარეა, ოფლიანობა, ცხელება, ტრიზმი, ტრემორი, მიოკლონუსი; **მედიკამენტი / ტოქსინი:** ფლუქსეტინი, მეპერიდინი, პაროქსეტინი, სერტრალინი, ტრაზოდონი; **ანტიდოტი:** ბენზოდიაზეპინები.

სპეციფიკური ანტოდოტები	
ტოქსინი ან მედიკამენტი	სპეციფიკური ანტიდოტი
აცეტამინოფენი	N- აცეტილცისტეინი
ბენზოდიაზეპინები	ფლუმაზენილი*
ბ-ბლოკატორები	ატროპინი, გლუკაგონი
კალციუმის არხის ბლოკატორები	ატროპინი, კალციუმი, გლუკაგონი
ნახშირის მონოქსიდი	ჰიპერბარული ოქსიგენაცია
ქოლინესტერაზას ინჰიბიტორები	ატროპინი, პრალიდოქსიმი
ციანიდები	ამილ ნიტრიტი/ნატრიუმის ნიტრიტი/ნატრიუმის თიოსულფატი
სათთურას პრეპარატები	დიგოქსინ Fab ანტოდოტი
უთილენ გლიკოლი	ფომეპიზოლი, ეთანოლი, პირიდოქსინი, თიამინი
ჰეპარინი	პროტამინ სულფატი
რკინა	დეფეროქსამინი

იზონიაზიდი	პირიდოქსინი
მეთანოლი	ფომეპიზოლი, ეთანოლი, ფოლატი
მეტოტრექსატი	ფოლიუმის მჟავა
მეტჰემოგლობინემია	მეთილენის ლურჯი
ოპიოიდები	ნალოქსონი
ორალური ჰიპოგლიკემიური აგენტები	დექსტოზა, გლუპაგონი
ორგანოფოსფატები	ატროპინი, პრალიდოქსიმი
სიმპატიკომიმეტიკები	ფენტოლამინი, ბენზოდიазეპინები
ვარფარინი	ვიტამინი K, პლაზმა
<i>*ბენზოდიასეპინების მიერ გამოწვეული ინტოქსიკაციის მოსახსნელად ამ პრეპარატებზე არადამოკიდებულ პაციენტებში</i>	

ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიის ძირითადი სიდიდეები		
ტოქსინი ან მედიკამენტი	მეტრული სისტემის ერთეულები	SI სისტემის ერთეულები
აცეტამინოფენი	10-30 მკგ/მლ	66-199 მკმოლი/ლ
დარიშხანი	<5 მკგ/ლ	<0.665 მკმოლი/ლ
დარიშხანი (შარდი)	<50 –მკგ/დღეში	<6.65 მკმოლი/დღეში
კოფეინი	1-10 მკგ/მლ	5.2-51 მკმოლი/ლ
კარბამაზეპინი	4-12 მგ/ლ	17-51 მკმოლი/ლ
კარბოქსიამოგლობინი	<2%	<2%
ციანიდი	<1 მკგ/მლ	<38.5 მკმოლი/ლ
დიგოქსინი	0.8-2 ნგ/მლ	1.1-2.6 ნმოლი/ლ
ეთანოლი	100 მგ/დლ	22 მმოლი/ლ
ეთილენგლიკოლი	<25მგ/დლ	<4 მმოლი/ლ
რკინა	80-180 მკგ/დლ	14-32 მკმოლი/ლ
ტყეია	<10 მკგ/დლ	<0.48 მკმოლი/ლ
ლიდოკაინი	1.5-5 მკგ/მლ	6.4-21.4 მკმოლი/ლ
ლითიუმი	0.6-1.2 მექვ/ლ	0.6-1.2 მმოლი/ლ
ვერცხლისწყალი	<10 მკგ/ლ	<50 ნმოლი/ლ
ვერცხლისწყალი (შარდი)	<20 მკგ/ლ	<100 ნმოლი/ლ
მეთანოლი	<25 მგ/დლ	<7.8 მმოლი/ლ
მეთემოგლობინი	<1%	<1%
ფენობარბიტალი	15-40 მგ/ლ	65-172 მკმოლი/ლ
ფენიტონი	10-20 მგ/ლ	40-79 მკმოლი/ლ
სალიცილატები	15-30 მგ/დლ	1.1-2.2 მმოლი/ლ

თალიუმი	<2.0 მკგ/ლ	<9.78 ნმოლი/ლ
თალიუმი (შარდი)	<5.0 მკგ/ლ	<24.5 ნმოლი/ლ
თეოფილინი	5-15 მკგ/მლ	27.8-83 მკმოლი/ლ
თიოციანატი	<30 მკგ/მლ	<100 მმოლი/ლ
ვალპროატის მჟავა	50-120 მგ/ლ	347-33 მკმოლი/ლ

მოწამვლის კლინიკური და/ან ლაბორატორიული ნიშნები	
აგზნება	ანტიქოლინერგული ნივთიერებები*, ჰიპოგლიკემია, ფენციკლიდინი, სიმპატომიმეტიკები**, ეთანოლის და სედაციურ- ჰიპნოზური მედიკამენტების აბსტინენცია
ალოპეცია	დამატუტიანებული ნივთიერებები, რადიაცია, სელენიუმი, თალიუმი
ატაქსია	ბენზოდიазეპინები, კარბამაზეპინი, ნახშირმჟავა, ეთანოლი, ჰიპოგლიკემია, ლითიუმი, ვერცხლისწყალი, ფენიტოინი, აზოტის ქვეყანგი
სიბრმავე ან მხედველობის სიმკვეთრის დაქვეითება	კაუსტიკური ნივთიერებები (პირდაპირი მოქმედება), კოკაინი, ცისპლატინი, ვერცხლისწყალი, მეთანოლი, ქინინი, თალიუმი
კანის სილურჯე	ამიოდარონი, FD&C dye №1 ****, მეტემოგლობინი, ვერცხლი
ყაბზობა	ანტიქოლინერგული მედიკამენტები*, ბოტულიზმი, ტყვია, ოპიოიდები, თალიუმი (მოწამვლის მწვავე პერიოდი)
ხმაური ყურებში, სიყრუე	ამინოგლიკოზიდები, ცისპლატინი, მძიმე მეტალები, მარყუჟოვანი დიურეტიკები, ქინინი, სალიცილატები
ოფლიანობა	ამფეტამინები, ქოლინერგული ნივთიერებები***, ეთანოლის და სედაციურ-ჰიპნოზური მედიკამენტების აბსტინენცია, ჰიპოგლიკემია, ოპიოიდების აბსტინენცია, სალიცილატები, სეროტონინული სინდრომი, სიმპატომიმეტიკები**
ღიარეა	დარიშხანი და სხვა მეტალები/მეტალოიდები, ბორის მჟავა (მოლურჯო, მომწვანო ფერის ღიარეა), მცენარეული გამღიზიანებლები, საფადართო საშუალებები, ქოლინერგული ნივთიერებები***, კოლხიკინი, რკინა, ლითიუმი, ოპიოიდების აბსტინენცია, რადიაცია
ღიზესთეზია, პარესთეზია	აკრილამიდი, დარიშხანი, ციგუატერა, კოკაინი, კოლხიკინი, თალიუმი

ღრძილების შეფერილობის შეცვლა, გაუფერულება	დარიშხანი, ბისმუტი, A-ვიტამინის ჰიპერვიტამინოზი, ტყვია, ვერცხლისწყალი
პალუცინაცია	ანტიქოლინერგული ნივთიერებები*, დოპამინის აგონისტები, ერგოტ ალკალოიდები, ეთანოლი, ეთანოლის და სედაციურ-ჰიპნოზური მედიკამენტების აბსტინენცია, LSD, ფენციკლიდინი, სიმპატომიმეტიკები**, ტრიპტამინები
თავის ტკივილი	ნახშირმჟავა, ჰიპოგლიკემია, მონოამინოქსიდაზას ინჰიბიტორი / საკვების ურთიერთქმედება (ჰიპერტენზიული კრიზი), სეროტონინული სინდრომი
მეტაბოლური აციდოზი (გაზრდილი ანიონური დეფიციტი)	მეთანოლი, ურემია, კეტოაციდოზი (დიაბეტი, შიშშილი, ალკოჰოლი), პარადოქსიდი, ფენფორმინი, მეტფორმინი, რკინა, იზონიაზიდი, რძემჟავა აციდოზი, ციანიდი, პროტეაზას ინჰიბიტორები, ეთილენგლიკოლი, სალიცილატები, ტოლუოლი
მიოზი	ქოლინერგული საშუალებები***, კლონიდინი, ოპიოიდები, ფენციკლიდინი, ფენოთიაზინები
მიდრიაზი	ანტიქოლინერგული საშუალებები*, ბოტულიზმი, ოპიოიდების აბსტინენცია, სიმპატომიმეტიკები**.
ნისტაგმი	ბარბიტურატები, კარბამაზეპინი, ნახშირმჟავა, ეთანოლი, ლითიუმი, მონოამინოქსიდაზას ინჰიბიტორები, ფენციკლიდინი, ფენიტონი, ქინინი
ჰემორაგიული გამონაყარი	ანტიკოაგულანტური როდენტოციდები, კლოპიდოგრელი, კორტიკოსტეროიდები, ჰეპარინი, ჩხრიალა და ზოგიერთი სხვა გველის შხამი, ქინინი, სალიცილატები, ვარფარინი
რენტგენის სხივების მიმართ მდგრადი ნივთიერებების შეწოვა	დარიშხანი, ქლორალჰიდრატი, შემოგარსული ტაბლეტები, პალოგენირებული ჰიდროკარბონები, მეტალები (მაგ: რკინა, ტყვია)
კანის სიწითლე	ანტიქოლინერგული საშუალებები*, ბორის მჟავა, დისულფირამი, სკომბროიდი, ვანკომიცინი
რადიომიოლიზი	ნახშირმჟავა, დოქსილამინი, HMG CoA რედუქტაზას ინჰიბიტორები, სიმპატომიმეტიკები**, <i>Tricholoma</i> -ს ჯგუფის სოკოები
სალივაცია	დარიშხანი, კაუსტიკური ნივთიერებები,

	ქოლინერგული ნივთიერებები***, კეტამინი, ვერცხლისწყალი, ფენციკლიდინი, სტრიქინი
კრუნჩხვა	ბუპროპიონი, ნახშირჟანგი, ციკლური ანტიდეპრესანტები, ეთანოლის და სედაციურ-ჰიპნოზური მედიკამენტების აბსტინენცია, <i>Gyromitra</i> -ს ჯგუფის სოკოები, ჰიპოგლიკემია, იზონიაზიდის, თეოფილინი
ტრემორი	ანტიფსიქოზური ნივთიერებები, დარიშხანი, ნახშირმჟავა, ქოლინერგული ნივთიერებები***, ეთანოლი, ლითიუმი, ვერცხლისწყალი, მეთილბრომიდი, სიმპატომიმეტიკები**, უარისებრი ჯირკელის ჩანაცვლება
სისუსტე	ბოტულიზმი, დიურეტიკები, მაგნეზია, პარალიტიკური მოლუსკები, სტეროიდები, ტოლუოლი
კანის სიყვითლე	აცეტამინოფენი (გვიან პერიოდში), პიროლიზიდინ ალკალოიდები, β-კაროტინი, <i>Amanita</i> -ს ჯგუფის სოკოები, დინიტროფენოლი
* ანტიქოლინერგული საშუალებები - ანტიჰისტამინური საშუალებები, ატროპინი, ციკლური ანტიდეპრესანტები, სკოპოლამინი ** სიმპატომიმეტიკები - ამფეტამინები, ბეტა-ადრენერგული აგონისტები, კოკაინი, ეფედრინი *** ქოლინერგული საშუალებები - მუსკარინული სოკოები, ფოსფორორგანული ნაერთები, კარბამატები, ალკაჰოლის დაავადების სამკურნალო მედიკამენტები, ფიზოსტიგმინი, პილოკარპინი **** საკვების და კოსმეტიკის საღებავები (Food Drugs & Cosmetic Dyes)	

სპეციფიკური ანტიდოტების დოზები მწვავე მოწამელების დროს			
მოწამელის გამომწვევი პრეპარატი	სპეციფიკური ანტიდოტი	ჩვენებები	დოზირება, შეყვანის თავისებურებები
აცეტამინოფენი	N-აცეტილციტეინი	სისხლის შრატში აცეტამინოფენის “ჰეპატოტოქსიკური” მაჩვენებელი	IV: 150 მგ/კგ ინფუზია 60 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ 50 მგ/კგ 4 სთ-ის განმავლობაში, შემდეგ 100 მგ/კგ 16 სთ-ის განმავლობაში. PO: საწყისი – 140 მგ/კგ, შემდეგ 70 მგ/კგ 4 სთ-ში ერთჯერ
ანტიქოლინერგული პრეპარატები (სინდრომი)	ფიზოსტიგმინი	სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია პემოდინამიკის დარღვევით, აგზნება	მოზრდილი: 1 მგ IV 10 წთ-ში ერთჯერ (მაქსიმუმ 4 მგ), ან ინფუზია 1-2 მგ 5 წთ-ის განმავლობაში. ბავშვები: 0.5 მგ IV 10 წთ-ში ერთჯერ ეფექტის მიღებამდე (მაქსიმუმ 2 მგ) ან 20 მკგ/კგ (მაქსიმუმ 0.5 მგ)
ბ ბლოკატორები	გლუკაგონი იზოპროტერენოლი, დოპამინი, ადრენალინი	ბრადიკარდია ბრადიკარდია	მოზრდილი: 3 მგ ბოლუსური შეყვანა, შემდეგ 5 მგ/სთ ინფუზია ბავშვები: 0.05 მგ/კგ ბოლუსური შეყვანა, შემდეგ 0.07 მგ/კგ/სთ ინფუზია ინფუზია. დოზის ტიტრაცია ეფექტის მიღებამდე
ბენზოდი-აზეპინები	ფლუმაზენილი	სიმპტომური ინტოქსიკაცია	0.02 მგ/კგ IV
CO	ჟანგბადი	CO	100%-იანი კანგაბადი,

		მაჩვენებელი > 5-10%	პიკერბარული ოქსიგენაცია
ციანიდები	ამილნიტრიტი, ნატრიუმის ნიტრიტი, ნატრიუმის თიოსულფატი	სიმპტომური ინტოქსიკა- ცია	მოზრდილები: ნატრიუმის ნიტრიტი: 300 მგ (10 მლ 3%- იანი ხსნარი) ინფუზია 2-5 წთ-ის განმავლობაში. ნატრიუმის თიოსულფატი: 12.5 გ (50 მლ 25%-იანი ხსნარი) ინფუზია 10- 30 წთ-ის განმავლობაში ან ბოლუსურად. ბავშვები: ნატრიუმის ნიტრიტი: 0.2 მლ/კგ 3%-იანი ხსნარი (მაქსიმუმ 300 მგ) ინფუზია 2-5 წთ-ის განმავლობაში. ნატრიუმის თიოსულფატი: 0.5 გ/კგ (მაქსიმუმ 12.5 გ) ინფუზია 10-30 წთ-ის განმავლობაში ან ბოლუსურად. შენიშვნა: ნატრიუმის ნიტრიტი უკუნაჩვენებია კარბოქსიჰემოგლობინ ის მომატებაზე ექვის დროს.
ეთილენ გლიკოლი	ეთანოლი	ოსმოლარული სხვაობა და მეტაბოლური აციდოზი მიუხედავად ეთილენ გლიკოლის დონისა. სისხლის შრატში მაჩვენებელი	გაჯერების დოზა: 7.6- 10 მლ/კგ 10%-იანი ეთანოლი განზავებული ფიზიოლოგიურ ხსნარში და შემდეგ შემანარჩუნებელი დოზა: 1.4 მლ/კგ/სთ. გაჯერების დოზისა და შემანარჩუნებელი დოზის პირველი საათის ჯამური

	ფოტოპიზოლი	> 20 მგ/დღ სიმპტომების მიუხედავად	რადიკალიზაცია უნდა იქნეს გადასხმული 1 სთ-ის განმავლობაში 15 მგ/კგ ინფუზია 30 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ 4 დოზა 10 მგ/კგ 12 სთ-ში ერთჯერ, დამატებითი დოზები 15 მგ/კგ 12 სთ-ში ერთჯერ საჭიროებისას.
რკინის მარილები	დეჰფეროქსა- მინი	სიმპტომური პაციენტები, შრატში რკინა > 350 მკგ/მლ	ინფუზია 5 მგ/კგ/სთ, დოზის გაზრდით 15 მგ/კგ/სთ, მაქსიმუმ 6- 8 გ/დღეში, ან 40 მგ/კგ IM.
იზონიაზიდის	პირიდოქსინი (ვიტამინი B ₆)	გულყრა	1 გ იზონიაზიდის ყოველ 1 გრამზე 70 მგ/კგ-მდე (მაქსიმუმ 5 გ) ინფუზია სიჩქარით 0.5 გ/წთ-ში კრუნჩხვის შეჩერებამდე, დანარჩენი დოზის ინფუზია 4-6 სთ-ის განმავლობაში.
მეთანოლი	ეთანოლი	მეტაბოლური აციდოზი და მომატებული ოსმოლარუ- ლი სხეულობა სიმპტომების მიუხედავად	გაჯერების დოზა: 7.6- 10 მლ/კგ 10%-იანი ეთანოლი განზავებული ფიზიოლოგიურ ხსნარში და შემდეგ შემანარჩუნებელი დოზა: 1.4 მლ/კგ/სთ. გაჯერების დოზისა და შემანარჩუნებელი დოზის პირველი საათის ჯამური რადიკალიზაცია უნდა იქნეს გადასხმული 1 სთ-ის განმავლობაში
მეთემო- გლობინემიის გამომწვევი	მეთილენის ლურჯი	სიმპტომური მოწამელა, მეთემოგლო-	1-2 მგ/კგ IV (0.1-0.2 მლ/კგ 1%-იანი ხსნარი) 5-10 წთ-ის

აგენტები (ნიტრიტები, ნიტრატები)		ბინის დონე > 30-40%	განმავლობაში, შემდეგ 30 მლ სითხის შეყვანა. შენიშვნა: უკუნაჩვენებია ციანიდებით გამოწვეული მოწამელის გამო შეყვანილი ნატრიუმის ნიტრიტით განპირობებული მეთემოგლობინ-ემიის დროს.
ოპიოიდები	ნალოქსონი	სიმპტომური ინტოქსიკა- ცია, სუნთქვის დათრგუნვა	მოზრდილი: 0.4 მგ IV ბავშვები: 0.01 მგ/კგ IV
ფოსფორგა- ნული ნაერთები	ატროპინი	ქოლინერგუ- ლი კრიზი	მოზრდილები: 2-5 მგ IV ბავშვები: 0.05 მგ/კგ IV გამეორება შესაძლებელია 10-30 წთ-ში ერთჯერ ადეკვატური ატროპინიზაციის მისაღწევად
	პრალიდოქსი- მი	ფასციკულა- ციები და სისუსტე	მხოლოდ ატროპინის შემდეგ მოზრდილი: 1 გ IV ბავშვები: 25 მგ/კგ IV სიმპტომების პერსისტირების შემთხვევაში გამეორება 1 სთ-ის შემდეგ
ფენოთიაზი- ნები	დიფენჰიდრა- მინი	სიმპტომური ინტოქსიკაცია	0.5-1.0 მგ/კგ IV, IM. არაუმეტეს 50 მგ
ქოლინესტე- რაზას ინჰიბიტო- რები	ატროპინი	სიმპტომური ინტოქსიკაცია, ბრონქორეა	მოზრდილები: 1-5 მგ IV, საჭიროებისას დოზის გაორმაგება 3-5 წთ-ში ერთჯერ

	პრალიდოქსი- მი	სიმპტომური ინტოქსი- კაცია	ბაეშეები: 50 მკ/კგ (მინიმალური 0.1 მგ, მაქსიმალური 0.5 მგ) IV. საჭიროებისას დოზის გაორმაგება 3-5 წთ-ში ერთჯერ მოზრდილები: 1-2 გ IV ინფუზია 30 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ ინფუზია 500 მგ/სთ მძიმე პაციენტებში. ბაეშეებში: 20-50 მგ/კგ (მაქსიმუმ 1-2 გ) IV ინფუზია 30-60 წთ- ის განმავლობაში, შემდეგ 10-20 მგ/კგ/სთ (მაქსიმუმ 500 მგ/სთ).
L-კარნიტინი	ვალპროატის მეაეა	შარდოვნას მომატება, AST/ALT მომატება	კლინიკურად გამოვლენილი: 100 მგ/კგ (მაქს 6 გ) IV ინფუზია 30 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ 15 მგ/კგ ინფუზია 30 წთ-ის განმავლობაში 4 სთ- ში ერთჯერ.

ლაბორატორული ტესტები მწვავე მოწამელაზე ექვის დროს	
ტესტი	მოწამელა
ჰემოგლობინის დაბალი სატურაცია ნორმალური ან მომატებული PO_2 -ის დროს	მეთემოგლობინემიის გამომწვევი აგენტები (ნიტრატები, ნიტრიტები, ბენზოკაინები)
მეტაბოლური აციდოზი მომატებული ანიონური სხვაობით	მეთანოლი, ეთანოლი, იზოპროპილი, ეთილენ გლიკოლი, სალიცილატები, იზონიაზიდი, პარალდეჰიდი, ტოლუოლი, რკინა, CO, კიანიდები
მომატებული ოსმოლარული სხვაობა	ეთანოლი, მეთანოლი, იზოპროპილი, ეთილენ გლიკოლი

ჰიპოგლიკემია	ინსულინი, ეთანოლი, იზოპროპილი, იზონიაზიდი, ფენფორმინი, აცეტამინოფენი, სალიცილატები, პერორალური ჰიპოგლიკემიური საშუალებები
ჰიპერგლიკემია	სალიცილატები, იზონიაზიდი, ფოსფორორგანული ნაერთები, რკინა
ჰიპოკალცემია	ეთილენ გლიკოლი, მეთანოლი
შარდი	
შარდში ოქსალატების მომატება	ეთილენ გლიკოლი
კეტონურია	იზოპროპილი, ეთანოლი, სალიცილატები

• ხელოვნური ვენტილაცია

ვენტილაციის საწყისი პარამეტრები მოზრდილებში		
პარამეტრი	რეკომენდებული საწყისი პარამეტრები	შენიშვნა
FiO ₂	100 %	შეინარჩუნეთ < 60%, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჟანგბადის ტოქსიკურობა და ფილტვის დაზიანება
სუნთქვის სიხშირე (RR)	8-12 /წთ	18-24/წთ "თერაპიული" ჰიპერვენტილაციის მისაღწევად. სიხშირემ > 20/წთ-ში შეიძლება გაზარდოს auto-PEEP
რეჟიმი	IMV (SIMV), AC, PSV, VSV	
ჩასუნთქვის მოცულობა (TV)	6-8 მლ/კგ	უფრო მაღალმა მოცულობამ შეიძლება გაზარდოს ალვეოლური გადაბერვის (ბაროტრავმის) საშიშროება და გამოიწვიოს ვენტილატორთან ასოცირებული ფილტვის დაზიანება

ჩასუნთქვის ნაკადის სიჩქარე (IFR)	60 ლ/წთ	IFR ძალზე დაბალმა მაჩვენებელმა შეიძლება გაზარდოს auto-PEEP ამოსუნთქვის დროის სიმცირის გამო. IFR ძალზე მაღალმა მაჩვენებელმა შეიძლება გაზარდოს PIP
ჩასუნთქვა /ამოსუნთქვის თანაფარდობა (I:E)	1 : 2 – 1 : 3	გაზრდილი თანაფარდობა (მაგ: 1 : 4) შეიძლება ეფექტური იყოს მწვავე ობსტრუქციის ან COPD-ის დროს. შებრუნებითი თანაფარდობა (2 : 1) გამოიყენება PaO ₂ -ის გასაზრდელად მძიმე ჰიპოქსიის დროს
პლატო წნევა	< 35 სმ H ₂ O	უნდა იქნეს შენარჩუნებული მაქსიმალურად დაბალ მაჩვენებელზე ბაროტრავმის თავიდან ასაცილებლად
ჩასუნთქვის პიკური წნევა (PIP)	< 45 სმ H ₂ O	უნდა იქნეს შენარჩუნებული დაბალ მაჩვენებელზე (ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე პლატო წნევა)
ამოსუნთქვის ბოლოს დადებითი წნევა (PEEP)	5 სმ H ₂ O (ითვლება “ფიზიოლოგიურად”)	ზრდის საშუალო წნევას სასუნთქ გზებში და ბაროტრავმის საშიშროებას. აქვეითებს ვენურ დაბრუნებას და გულის წუთმოცულობას ჰიპოვოლემურ პაციენტებში
შენიშვნა: ყველა ამ პარამეტრის დაყენება ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდების დროს ვერ ხერხდება, რადგანაც სხვადასხვა სისტემის სუნთქვის აპარატების ტექნიკური მახასიათებლები განსხვავებულია.		

ვენტილაციის საწყისი პარამეტრები ახალშობილებში

	ინტაქტური ფილტვები	ARDS
PIP	12-18 სმ H ₂ O	18-25 სმ H ₂ O
PEEP	3-4 სმ H ₂ O	4-6 სმ H ₂ O
სიხშირე	15-20/წთ-ში	25-40/წთ-ში
I : E	1 : 1.5 ან 1 : 2	1 : 1 ან 1 : 3
თანაფარდობა		
ჩასუნთქვის დრო	0.5 წმ	0.4-0.5 წმ
FiO₂	21-30 %	40-100 %
ვენტილაციის რეჟიმები	SIMV ან IMV	SIMV ან IMV

ნაკადის სიჩქარე: დაბადების წონა < 1000 გ: 6-8 ლ/წთ-ში
დაბადების წონა > 1000 გ: 8-12 ლ/წთ-ში

ვენტილაციის საწყისი პარამეტრები ბავშვებში

პარამეტრი	რეკომენდებული საწყისი მარეგნებელი
ვენტილაციის რეჟიმი	SIMV მოცულობითი კონტროლითა და წნევის დახმარებით
ჩასუნთქვის მოცულობა	6-10 მლ/კგ
სუნთქვის სიხშირე	12-25
PSV	მინიმუმ 5 სმ H ₂ O
PEEP	4 სმ H ₂ O
FiO ₂	25-100 %

აპარატული რეჟიმების გაგლეწა სისხლის გაზების მარეგნებლებზე

მიზანი	სიხშირე	PIP	PEEP	IT	FiO₂
↑ PaCO ₂	↓	↓	NA	NA	NA
↓ PaCO ₂	↑	↑	NA*	NA**	NA
↑ PaO ₂	NA	↑	↑	↑	↑
↓ PaO ₂	NA	↓	↓	NA	↓

შენიშვნა: * ფილტვის მწვავე შეშუპებისა და ფილტიდან სისხლდენის დროს PEEP გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს PaCO₂-ის დაქვეითება.

** არ გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩასუნთქვა ამოსუნთქვა თანაფარდობა არის მომატებული

PIP – ჩასუნთქვის პიკური წნევა, PEEP – ამოსუნთქვის ბოლოს დადებითი წნევა, IT – ჩასუნთქვის დრო, FiO_2 – ჩასუნთქული ჟანგბადის კონცენტრაცია, NA – გაელუნა არ აქვს

ვენტილატორთან დაკავშირებული გადაუდებელი სიტუაციები

განგაშის კოდი: ჩასუნთქვის მაღალი პიკური წნევა სისტემაში (High PIP)

- თუ პაციენტის $O_2Sat \leq 80\%$ და პემოდინამიკურად არასტაბილურია, მოხსენით აპარატიდან და გადაიყვანეთ ამბუს პარკით სუნთქვაზე ($FiO_2 100\%$). შემდეგ დაადგინეთ ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზი.
- თუ პაციენტის ოქსიგენაცია და პემოდინამიკა სტაბილურია, შეამოწმეთ ვენტილატორის პიკური და პლატო წნევა.

პიკური წნევა (PIP): მაქსიმალური წნევა, რომელიც ფიქსირდება სუნთქვის ციკლის დროს.

პლატო წნევა: წნევა, რომელიც ფიქსირდება ჩასუნთქვის ბოლოს პაუზაში (გასაზომად შესაძლებელია 0.5 წმ დაყოვნების გამოყენება)

გაზრდილი რეზისტენტობა პიკური წნევა მომატებულია (>35 cmH ₂ O) პლატოს წნევა ნორმალურია (≤ 35 cmH ₂ O)	შემცირებული ელასტიკურობა პიკური და პლატოს წნევა მომატებულია (>35 cmH ₂ O)
შესაძლო მიზეზები: • ენდოტრაქეალური მილის დაცობა ლორწოთი ან ჩირქოვანი საცობით • ენდოტრაქეალური მილის კბილებით მოკენება (მოჭერა) • ბრონქოსპაზმი • ტრაქეის ობსტრუქცია	შესაძლო მიზეზები: • ენდოტრაქეალური მილი ცენტრალურ ბრონქშია • პაციენტი სუნთქავს ასინქრონულად • აუტო PEEP • ატელექტაზი, პნევმონია, გულის შეგუბებითი უმარისობა, • პნევმოთორაქსი
მოქმედება: • შეამოწმეთ კონტური • ამოქაჩეთ • გამოიყენეთ ბრონქოდილატორები • მოახდინეთ ენდოტრაქეული მილის	მოქმედება: • გულმკერდის რენტგენოგრაფია • დიაგნოსტიკისთვის PEEP • შეამცირეთ აუტო PEEP • სასუნთქი მოცულობის, სიხშირის,

რეპოზიცია • იფიქრეთ ბრონქოსკოპიის ჩატარებაზე	თანაფარდობის შემცირებით, ან დროებით ჩახსენით აპარატის კონტურიდან.
---	--

განგაშის კოდი: ჩასუნთქვის დაბალი პიკური წნევა სისტემაში (Low PIP)

- თუ პაციენტის $O_2Sat \leq 80\%$ და ჰემოდინამიკურად არასტაბილურია, მოხსენით აპარატიდან და გადაიყვანეთ ამბუს პარკით სუნთქვაზე ($FiO_2 100\%$).

შესაძლო მიზეზი: ენდოტრაქეული მილი ამოვარდნილია ტრაქეიდან
მოქმედება: რეინტუბაცია

შესაძლო მიზეზი: ენდოტრაქეული მილის მანუეტის ჰერმეტიზაციის დარღვევა

მოქმედება: დაამატეთ ჰაერი მანუეტში ან ჩაატარეთ რეინტუბაცია

შესაძლო მიზეზი: ტრაქეობრონქული ფისტულა

მოქმედება: მოახდინეთ ენდოტრაქეული მილის რეპოზიცია

შესაძლო მიზეზი: ვენტილატორის კონტურის მთლიანობის დარღვევა

მოქმედება: გამოცვალეთ კონტური

ექსტუბაცია

ექსტუბაციამდე მოაწესრიგეთ:

- შეამცირეთ და შეწყვიტეთ სედაცია
- უზრუნველყავით ადეკვატური მოსვენება და კვება
- მოამზადეთ პაციენტი ფსიქოლოგიურად
- მოაწესრიგეთ დიურეზი ფილტვის შემშუპების თავიდან ასაცილებლად
- მოხსენით ბრონქოსპაზმი
- შეამცირეთ სეკრეცია, მოაწესრიგეთ ელექტროლიტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კუნთების შეკუმშვას (PO_4 , Mg , Ca)
- გამოიყენეთ ანტიპირეტიკები ცხელების დროს
- უმკურნალოთ სისტემურ პრობლემას (მაგ. ინფექცია)
- დაიწყეთ ეფექტური სტენოკარდიის საწინააღმდეგო თერაპია
- გამოირიცხეთ მედიკამენტებით (მაგ. ამინოგლიკოზიდები) გამოწვეული ნერვ-კუნთოვანი ბლოკადა

აპარატიდან მოხსნის დაწყების კრიტერიუმები

- სუნთქვის უკმარისობის მიზეზები გამოსწორებულია

- ოქსიგენაცია ადეკვატურია: $\text{PaO}_2 \geq 60 \text{ mmHg}$, როდესაც $\text{FiO}_2 \leq 0.4$ და $\text{PEEP} \leq 5 \text{ cm H}_2\text{O}$ ($\text{PaO}_2 / \text{FiO}_2 = 150-300$)
- ჰემოდინამიკა სტაბილურია: არ არის მიოკარდიუმის იშემიის ან ჰიპოტენზიის ნიშნები
- ტემპერატურა $< 38^\circ\text{C}$
- ჰემოგლობინი $\geq 8-10 \text{ გ/დლ}$
- პაციენტს ღვიძავს ან ადვილად იღვიძებს
- ადეკვატური ხველის რეფლექსი (სასუნთქი გზების გამაგელობის შენარჩუნების უნარი)
- $\text{GCS} \geq 11$

წარმატებული ექსტუბაციის საგარაუდო მაჩვენებელი

RSBI – სწრაფი ზედაპირული სუნთქვის ინდექსი ($\text{RSBI} = \text{RR} / \text{Vt}$) T-tube ცდის დროს < 105 . ეს გვაფიქრებინებს, რომ ექსტუბაცია საგარაუდოდ წარმატებული იქნება. ამ ინდექსის უფრო მაღალი მაჩვენებელის დროს აპარატიდან მოხსნის დაწყება დასაშვებია გარკვეულ პოპულაციებში (მაგ. მცირე ზომის ასაკოვანი ქალები) ან თუკი სხვა კლინიკური მონაცემები გვაძლევს ამის უფლებას.

სპონტანურ სუნთქვაზე გადაყვანის ცდა

- პაციენტი 30 წუთის განმავლობაში იმყოფება T-tube ან Pressure support ვენტილაციაზე $7 \pm 3 \text{ სმ H}_2\text{O}$
- გამოიყენეთ CPAP (5 სმ H_2O) ბრონქების ობსტრუქციის მქონე პაციენტებში (ასთმა, COPD)

ცდა წარმატებულია, თუ:

- $\text{O}_2 \text{ sat} > 90\%$ ან $\text{PaO}_2 \geq 60 \text{ mmHg}$, როდესაც $\text{FiO}_2 \leq 0.4-0.5$
- PaCO_2 ზრდა $< 10 \text{ mmHg}$, ან pH შემცირება < 0.10
- სუნთქვის სიხშირე < 35
- $\text{RSBI} < 100-105$
- პულსის სიხშირე < 140 ან საწყისი მონაცემიდან ზრდა $< 20\%$
- სისტოლური წნევა 80-160 mmHg ან საწყისი მონაცემიდან განსხვავება $< 20\%$
- არ შეინიშნება სუნთქვის ხასიათის ცვლილება (პარადოქსული სუნთქვა, დამატებითი კუნთების ჩართვა სუნთქვაში) ან დისტრესის ნიშნები (ოფლიანობა, აგზნება)

წარმატებული ცდის შემთხვევაში განაგრძეთ ექსტუბაცია

წარუმატებელი ცდის შემთხვევაში:

გაიმეორეთ მცდელობა ყოველდღიურად და ვენტილატორის დახმარება თანდათანობით შეამცირეთ (T-tube ან Pressure support რეჟიმებით აპარატიდან მოხსნა უფრო ეფექტური და უკეთესია ვიდრე IMV რეჟიმის გამოყენება აპარატიდან მოხსნის დროს)

ექსტუბაციის ჩვენება ბავშვებში

1. $StO_2 \geq 95\%$ ან $R \rightarrow L$ (მარჯენიდან მარცხნივ) შუნტის მქონე პაციენტებში $\geq 80\%$ (გარდა გამონაკლისი ინდივიდუალური შემთხვევებისა).
2. $FiO_2 \leq 0,4$
3. $PEEP \leq 5 \text{ mmHg}$
4. $PaCO_2 \leq 45 \text{ mmHg}$
5. ტემპერატურა $< 38,5$
6. ჰემოგლობინი $> 8 \text{ მგ/დლ}$
7. CO – გულის წუთმოცულობა (არტერიული წნევა, გულისცემის სიხშირე, დიურეზი, კაპილარული აგსება) დამაკმაყოფილებელია
8. მეტაბოლიზმი (ენერგიის მიწოდება) - დამაკმაყოფილებელია
9. გლაზგოს კომის შკალა ≥ 11
10. $V_T(\text{სპონტანური}) \geq 5 \text{ მლ/კგ.}$
11. ხეელის რეფლექსი და ძალა დამაკმაყოფილებელია.

შენიშვნა: ახალშობილებში და ჩვილ ბავშვებში $PaCO_2$ შეიძლება 48 - 50 mmHg-იც დასაშვები იყოს (როდესაც სხვა კრიტერიუმებით ბავშვი ექსტუბაციის კანდიდატია: აქტიური სუნთქვა დატვირთვის გარეშე, ნორმოპნეა, ხეელის რეფლექსის არსებობა, ცნობიერება), ისევე როგორც $Tv = 5 \text{ მლ/კგ.}$ ამავე ასაკობრივ ჯგუფში არ არის რეკომენდებული პაციენტი გაეაჩეროთ აპარატზე როცა Pressure Support $< 10 - 12 \text{ cmH}_2\text{O}$. ზოგადად ნებისმიერ ასაკში P.S. $< 7 - 8 \text{ cmH}_2\text{O}$ არ არის სასურველი. Negative inspiratory pressure - ახალშობილებში ($- 7$) cmH_2O საკმარისია, დიდებში (-16) ($- 20$).

მოზარდებში და დიდ პაციენტებში გაძნელებული ექსტუბაციის დროს შეიძლება SBT – სპონტანური სუნთქვის ტესტი ჩატარდეს, რომელიც წარმატებული ექსტუბაციის პრედიქტორად ისეთივე წარმატებით გამოიყენება, როგორც T- piece სპონტანური ტესტი.

SBT : PS -7 ან 8 cmH_2O , CPAP /PEEP - $\leq 5 \text{ cmH}_2\text{O}$; 30 - 120 წუთიანი ტესტი – თუ ამ პერიოდში სუნთქვის სიხშირე < 35 , $Tv \geq 5 \text{ მლ/კგ}$ და ოქსიგენაცია - ენტილაცია ნორმალურია, ეს ნიშნავს, რომ ტესტი წარმატებულია და ექსტუბაციაც წარმატებული იქნება.

• სასუნთქი გზების ობსტრუქცია

სასუნთქი გზების ობსტრუქციის საწინააღმდეგო მედიკამენტები		
	დოზა	
	ბავშვები	მოზრდილები
ალბუტეროლი (ვენტოლინი) (0.5% ხსნარი)	0.15 მგ/კგ (მაქსიმუმ 2.5 მგ) გახსნილი 2-3 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 20 წთ-ში ერთჯერ 3 დოზა, შემდეგ 0.15-0.3 მგ/კგ (არაუმეტეს 10 მგ) 1-4 სთ-ში ერთჯერ	2.5-5 მგ გახსნილი 2-3 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 20 წთ-ში ერთჯერ 3 დოზა, შემდეგ 2.5-10 მგ 1-4 სთ-ში ერთჯერ
ალბუტეროლის ხანგრძლივი ინჰალაცია	0.5 მგ/კგ/სთ	10-15 მგ/სთ
იპრატროპიუმი (ატროპენტი)	ახალშობილები: 25 მკგ/კგ/დოზა გახსნილი 2-5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 8 სთ-ში ერთჯერ ჩვილები: 125-250 მკგ/დოზა გახსნილი 2-5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 8 სთ-ში ერთჯერ ასთმა: 250 მკგ/დოზა 20 წთ-ში ერთჯერ 3 დოზა, შემდეგ 2-4 სთ-ში ერთჯერ ბავშვები > 12 წელი: 500 მკგ/დოზა 30 წთ-ში ერთჯერ 3 დოზა, შემდეგ 2-4 სთ-ში ერთჯერ	500 მკგ/დოზა გახსნილი 2-5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 30 წთ-ში ერთჯერ 3 დოზა, შემდეგ 2-4 სთ-ში ერთჯერ
იზოპროტერენოლი (იზუპრელი)	0.25 მლ გახსნილი 5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 3 დოზა, შემდეგ 2-4 სთ-ში ერთჯერ	0.5 მლ გახსნილი 5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 3 დოზა, შემდეგ 2-4 სთ-ში ერთჯერ
ადრენალინი 0.18 %	0.5 მლ/კგ (მაქსიმუმ 5 მლ) გახსნილი 3 მლ ფიზიოლოგიურ	5 მლ გახსნილი 3 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 30 წთ-ში

	ხსნარში 30 წთ-ში ერთჯერ 3 დოზა, შემდეგ 4-6 სთ-ში ერთჯერ	ერთჯერ 3 დოზა, შემდეგ 4-6 სთ-ში ერთჯერ
რაცემიული ადრენალინი 2.25%	ჩვილები < 6 თვე: 0.25 მლ ბავშვები > 6 თვე: 0.5-0.75 მლ გახსნილი 4-5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 30 წთ-ში ერთჯერ 3 დოზა, შემდეგ 4-6 სთ-ში ერთჯერ	1.0 მლ გახსნილი 4-5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 30 წთ-ში ერთჯერ 3 დოზა, შემდეგ 4-6 სთ-ში ერთჯერ
ტერბუტალინი (0.1% ხსნარი)	0.01-0.03 მლ/კგ გახსნილი 4-5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 4-6 სთ-ში ერთჯერ მინიმალური დოზა 0.1 მლ, მაქსიმალური დოზა 2.5 მლ	1 მლ გახსნილი 4-5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 4-6 სთ-ში ერთჯერ
მეტაპროტერენოლი	ჩვილები და ბავშვები: 0.01-0.02 მლ/კგ (0.5-1 მგ/კგ) გახსნილი 4-5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 4-6 სთ-ში ერთჯერ. მინიმალური დოზა - 0.1 მლ (5 მგ), მაქსიმალური დოზა - 0.3 მლ (15 მგ)	0.2-0.3 მლ (10-15 მგ) გახსნილი 4-5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში 4-6 სთ-ში ერთჯერ.
ინტრავენური		დოზა
პრედნიზოლონი	1 მგ/კგ 6-8 სთ-ში ერთჯერ	
მეთილპრედნიზოლონი (სოლუმედროლი)	2 მგ/კგ, შემდეგ 1 მგ/კგ 6 სთ-ში ერთჯერ (ასთმა)	
დექსამეტაზონი	0.6 მგ/კგ 6-8 სთ-ში ერთჯერ	
ტერბუტალინი	2-10 მკგ/კგ (საწყისი ბოლუსი) ინფუზია 0.08-0.4 მკგ/კგ/წთ (მაქს. 6 მკგ/კგ/წთ)	
კანქვეშა		დოზა
ადრენალინი(1:1000)	0.01 მლ/კგ (მაქს. 0.5 მლ)	
ტერბუტალინი	0.005-0.01 მგ/კგ (მაქს. 0.4 მგ)	

ჟანგბადის მიწოდების საშუალებები

ცხვირის კანულა – ჟანგბადის 24-40%-ანი კონცენტრაცია 1-6 ლიტრი/წთ-ში ნაკადით მიწოდების დროს მოზრდილებში, ხოლო ჩვილებში უზრუნველყოფს თითქმის 100% ჟანგბადს 1 ლიტრი/წთ-ში ნაკადის დროს;

მარტივი ნილაბი – ჟანგბადის 40-60%-ანი კონცენტრაცია 5-8 ლიტრი/წთში ნაკადით მიწოდების დროს;


ვენტურის ნილაბი – ჟანგბადის 24-28%-ანი კონცენტრაცია 4 ლიტრი/წთში, 35 ან 40%-ანი კონცენტრაცია 8 ლიტრი/წთში, 50%-ანი კონცენტრაცია 10 ლიტრი/წთში ნაკადით მიწოდების დროს;

რეზერვუარიანი ნილაბი – ჟანგბადის 90%-ანი კონცენტრაცია 12 ლიტრი/წთში ნაკადით მიწოდებისას;

მოწყობილობა	რეზერვუარის ტევადობა (მლ)	ჟანგბადის ნაკადი (ლ/წთ)	მიახლოებითი FiO_2^*
ცხვირის კანულა	50	1	0.21-0.24
		2	0.24-0.28
		3	0.28-0.34
		4	0.34-0.38
		5	0.38-0.42
		6	0.42-0.46
ჟანგბადის (მარტივი) ნილაბი	150-250	5-10	0.40-0.60
რეზერვუარიანი ნილაბი	750-1250		
სარქველიანი		5-7	0.35-0.75
უსარქველო		5-10	0.40-1.0

**შენიშვნა: საეარაულო სიდიდე ეფუძნება სუნთქვის მოცულობას 500 მლ, სუნთქვის სიხშირეს 20/წთ და ჩასუნთქვა : ამოსუნთქვის დროის თანაფარდობას 1 : 2*

ადამიანის სისხლში ჟანგბადის დისოციაციის მრუდი
(სხეულის ტემპერატურა 37°C და pH 7.40)



SaO ₂ %	PaO ₂ mmHg
99	156
98	111
97	92
96	82
95	74
94	69
93	66
92	62
91	60

90	58
88	54
86	51
84	49
82	47
80	45
78	43
76	41
74	40
72	39
70	37

• სეფსისი

მძიმე სეფსისისა და სეპტიური შოკის მართვის გაიდლაინი

საწყისი რეანიმაციული ღონისძიებები (პირველი 6 სთ)

◆ დაიწყეთ დაუყოვნებელი რეანიმაციული ღონისძიებები ჰიპოტენზიის ან სისხლის შრატში ლაქტატის > 4 მმოლ/ლ მომატების დროს; არ დააყოვნოთ პაციენტის მოთავსება (გადაყვანა) ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. **რეანიმაციის მიზნები:**

- ცენტრალური ვენური წნევა (CVP) 8-12 mmHg*
- საშუალო არტერიული წნევა (MAP) ≥ 65 mmHg
- დიურეზი ≥ 0.5 მლ/კგ/სთ
- ცენტრალურ ვენაში (ზემო დრუ ვენა) ჟანგბადის სატურაცია $\geq 70\%$ ან შერეული ვენური სატურაცია $\geq 65\%$

◊ თუ დასახული ვენური ჟანგბადის სატურაცია ვერ მიიღწევა:

- განიხილეთ სითხეების შემდგომი ინფუზია
- საჭიროებისას გადაასხით ერიტროციტული მასა (დასახული პემატოკრიტი $\geq 30\%$) და/ან
- დობუტამინის ინფუზია – მაქსიმალური დოზა 20 მკგ/კგ/წთ

*CVP უფრო მაღალი დასახული მაჩვენებლის 12-15 mmHg მიღწევა რეკომენდებულია მექანიკური ვენტილაციის ან პარკუტის ფუნქციის თანმხლები დაქვეითების დროს.

დიაგნოზი

◆ ანტიბიოტიკების დაწყებამდე ჩაატარეთ შესაბამისი ბაქტერიოლოგიური კვლევა, თუმცა ამ უკანასკნელმა არ უნდა გადაავადოს ანტიმიკრობული თერაპიის დანიშვნა.

- აიღეთ სისხლის ორი ან მეტი კულტურა
 - ერთი ან მეტი სისხლის კულტურა უნდა იყოს მიღებული ახალი ვენიდან პუნქციის გზით
 - ერთი სისხლის კულტურა თითოეული ვენური კათეტერიდან, რომლის ჩადგმის ხანგრძლივობა > 48 სთ
 - კლინიკური ჩვენების დროს კულტურა სხვა ადგილებიდან
- ♦ ჩაატარეთ გამოსახულებითი კვლევა ინფექციის ნებისმიერი წყაროს დადასტურების მიზნით, თუ ეს კვლევა პაციენტისთვის უსაფრთხოა.

ანტიბაქტერიული თერაპია

- ♦ დაიწყეთ ინტრავენური ანტიბიოტიკები რაც შეიძლება სწრაფად და ყოველთვის 1 სთ-ის განმავლობაში მძიმე სეფსისისა და სეპტიკური შოკის დიაგნოსტიკის დროს.
- ♦ ფართო სპექტრის: ერთი ან მეტი აგენტი, რომელიც აქტიურია სავარაუდო ბაქტერიული/ფუნგალური გამომწვევის მიმართ და ახასიათებს მაღალი შეღწევადობა ინფექციის არსებულ კერაში.
- ♦ ყოველდღიურად შეაფასეთ ანტიმიკრობული თერაპიის რეჟიმი მაქსიმალური ეფექტურობის, რეზისტენტობის პრევენციის, ტოქსიკურობის თავიდან აცილებისა და მინიმალური ღირებულების მიზნით.
- ◊ განიხილეთ კომბინაციური თერაპია *Pseudomonas* ინფექციის დროს.
- ◊ განიხილეთ ემპირიული კომბინაციური თერაპია ნეიტროპენიის მქონე პაციენტებში.
- ◊ კომბინაციური თერაპია არაუმეტეს 3-5 დღე და დევსკალაციური თერაპია მგრძნობელობის განსაზღვრის შემდეგ.
- ♦ მკურნალობის ხანგრძლივობა ჩვეულებრივ შეზღუდულია 7-10 დღემდე; თერაპია გრძელდება დაგვიანებული პასუხის, ინფექციის არადრენირებული კერის ან იმუნოლოგიური დეფიციტის არსებობისას.
- ♦ შეაჩერეთ ანტიმიკრობული თერაპია თუ მიზეზი არაინფექციური წარმოშობისაა.

წყაროს იდენტიფიკაცია და კონტროლი

- ♦ დაადგინეთ ინფექციის ანატომიური ლოკალიზაცია რაც შეიძლება სწრაფად და არაუგვიანეს 6 სთ-ის განმავლობაში.
- ♦ განსაზღვრეთ ინფექციის კერა, რომელიც ექვემდებარება ჩარევას (მაგ: აბსცესის დრენირება, ქსოვილების ქირურგიული დამუშავება).
- ♦ წარმატებული საწყისი რეანიმაციის შემდეგ დაიწყეთ ინფექციის წყაროს კონტროლის ღონისძიებების გატარება.
- ◊ გამოწვევის პანკრეასის ნეკროზი, რომლის დროსაც უმჯობესია ქირურგიული ჩარევის დაყოვნება.
- ♦ შეარჩიეთ ინფექციის წყაროს კონტროლის მაქსიმალურად ეფექტური და მინიმალურად დამაზიანებელი ღონისძიება.
- ♦ ამოიღეთ პოტენციურად დაინფიცირებული კათეტერები.

მოცულობითი რეანიმაცია

- ♦ რეანიმაციის დროს კრისტალოიდებისა და კოლოიდების ინფუზია.
- ♦ სამიზნე CVP ≥ 8 mmHg (≥ 12 mmHg მექანიკური ვენტილაციის დროს)
- ♦ გამოიყენეთ სითხეებით რეანიმაცია, სანამ ჰემოდინამიკა არ გაუმჯობესდება.
- ♦ შეიყვანეთ 1000 მლ კრისტალოიდები ან 300-500 მლ კოლოიდები 30 წთ-ის განმავლობაში. უფრო სწრაფი ინფუზია და დიდი მოცულობები შეიძლება ნაჩვენები იყოს სეფსისით განპირობებული ქსოვილოვანი ჰიპოპერფუზიის დროს.
- ♦ სითხის ინფუზიის სირქარე უნდა შემცირდეს, თუ ცენტრალური ვენური წნევა და ფილტვის არტერიის ჩაჭედვის წნევა მატოლობს თანამხლები ჰემოდინამიკური გაუმჯობესების გარეშე.

ვაზოპრესორები

- ♦ შეინარჩუნეთ MAP ≥ 65 mmHg.
- ♦ ცენტრალურ ვენაში შეყვანილი ნორადრენალინი ან დოპამინი მიეკუთვნება არჩევის საწყის ვაზოპრესორებს.
- ♦ ადრენალინი, ფენილეფრინი ან ვაზოპრესინი არ ინიშნება როგორც საწყისი ვაზოპრესორები სეპტიკური შოკის დროს.
 - ვაზოპრესინი 0.03 ერთ/წთ შემდგომში შეიძლება დაემატოს ნორადრენალის, რომლის მოსალოდნელი ეფექტი ნორადრენალინით მონოთერაპიის ეკვივალენტურია.
- ♦ გამოიყენეთ ადრენალინი, როგორც პირველი ალტერნატიული აგენტი სეპტიკური შოკის დროს, როდესაც არტერიული წნევა ცუდად პასუხობს ნორადრენალის ან დოპამინს.
- ♦ არ გამოიყენოთ დოპამინის დაბალი დოზები რენული დაცვის მიზნით.
- ♦ ვაზოპრესორების საჭიროების მქონე პაციენტებში უმოკლეს დროში უზრუნველყავით არტერიული კათეტერის ჩადგმა.

ინოტროპული თერაპია

- ♦ დანიშნეთ დოპუტამინი მიოკარდიუმის დისფუნქციის დროს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მომატებული ცენტრალური ვენური წნევა/ფილტვის არტერიის ჩაჭედვის წნევა და გულის დაქვეითებული წუთმოცულობა.
- ♦ არ გაზარდოთ გულის ინდექსი განსაზღვრულ სუპრანორმალურ მაჩვენებელამდე.

სტეროიდები

- ◊ განიხილეთ ინტრავენური ჰიდროკორტიზონი მოზრდილთა სეპტიკური შოკის დროს, როდესაც ჰიპოტენზია ცუდად პასუხობს სითხეებით ადეკვატურ რეანიმაციასა და ვაზოპრესორებზე.

◊ ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის (ACTH) სტიმულაციური ტესტი არ არის ნაჩვენები მოზრდილთა სეპტიკური შოკის დროს, რომელთაც ესაჯიროება პიდროკორტიზონი.

◊ პიდროკორტიზონს აქვს უპირატესობა დექსამეტაზონთან.

◊ სტეროიდები შეიძლება მოიხსნას მაშინ, როდესაც ვაზოპრესორები აღარ არის საჭირო.

◆ პიდროკორტიზონის დოზა უნდა იყოს < 300 მგ/დღეში.

◆ არ გამოიყენოთ კორტიკოსტეროიდები შოკის გარეშე მიმდინარე სეფსისის დროს, თუ პაციენტის ანამნეზში არ არის დაფიქსირებული ენდოკრინული პათოლოგიის არსებობა.

ადამიანის რეკომბინანტური აქტივირებული ცილა (rhAPC)

◊ განიხილეთ rhAPC მოზრდილ პაციენტებში სეფსისით განპირობებული ორგანული დისფუნქციისას, როდესაც კლინიკური შეფასებით ლეტალური გამოსავლის რისკი მაღალია (ჩვეულებრივ $APACHE II \geq 25$ ან მულტიორგანული უკმარისობა) და არ არის პრეპარატის გამოყენების უკუჩვენება.

◆ მოზრდილ პაციენტებში მიიმე სეფსისით და ლეტალური გამოსავლის დაბალი რისკის დროს ($APACHE II < 20$ ან ერთი ორგანოს უკმარისობა) rhAPC არ ინიშნება.

სისხლის პროდუქტები

◆ გამოიყენეთ ერითროციტული მასის ტრანსფუზია, როდესაც ჰემოგლობინის მაჩვენებელი < 7.0 გ/დლ (70 გ/ლ). ჰემოგლობინის სამიზნე მაჩვენებელი მოზრდილ პაციენტებში შეადგენს 7.0-9.0 გ/დლ.

ჰემოგლობინის უფრო მაღალი სამიზნე მაჩვენებელი საჭიროა განსაკუთრებულ გარემოებებში (მაგ: მიოკარდიუმის იშემია, მძიმე პიოქსემია, მწვავე სისხლდენა, გულის ციანოზური დაავადება ან ლაქტატ აციდოზი).

◆ არ გამოიყენოთ ერითროპოეტინი სეფსისით განპირობებული ანემიის სამკურნალოდ.

◊ არ გამოიყენოთ ახლადგაყინული პლაზმა შედედების ლაბორატორული დარღვევების დროს, თუ არ არის გამოხატული სისხლდენა ან არ არის დანიშნული ინვაზიური ჩარევა.

◆ არ გამოიყენოთ ანტითრომბული თერაპია.

◊ დანიშნეთ თრომბოციტული მასა, როდესაც:

- თრომბოციტების რაოდენობა $< 5000/\text{mm}^3$ სისხლდენის მიუხედავად.
- თრომბოციტების რაოდენობა არის $5000-30000/\text{mm}^3$ და არსებობს სისხლდენის მნიშვნელოვანი რისკი.
- თრომბოციტების უფრო მაღალი მაჩვენებელი $\geq 50000/\text{mm}^3$ ჩვეულებრივ საჭიროა ქირურგიული ან სხვა ინვაზიური ჩარევის ჩასატარებლად.

მექანიკური ვენტილაცია სუნთქვისით განპირობებული ფილტვების მწვავე დაზიანების (ALI) / მოზრდილთა რესპირატორული დისტრეს სინდრომის (ARDS) დროს

◆ სამიზნე სუნთქვის მოცულობა (TV) უნდა შეადგენდეს 6 მლ/კგ პაციენტებში ALI/ARDS-ის დროს.

◆ პლატო წნევის საწყისი მაღალი ლიმიტი ≤ 30 cmH₂O. გაითვალისწინეთ გულმკერდის ელასტიკურობა პლატო წნევის შეფასებისას.

◆ დასაშვებად მიიჩნეოთ PaCO₂-ის ნორმაზე ოდნავ მაღალი მაჩვენებელი, რათა შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე იქნეს შემცირებული პლატო წნევა და სუნთქვის მოცულობა.

◆ ამოსუნთქვის ბოლოს დადებითი წნევა (PEEP) უნდა იქნეს შერჩეული იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ფილტვების კოლაპირება ამოსუნთქვის ბოლოს.

○ განიხილეთ პაციენტის მოთავსება მუცელზე ARDS-ის დროს, როდესაც საჭირო ხდება FiO₂-ის ან პლატო წნევის დამაზიანებელი სიდიდეების დაყენება, თუ პოზიციის შეცვლა არ წარმოადგენს რისკ ფაქტორს პაციენტისათვის.

◆ შეინარჩუნეთ მექანიკურად ვენტილირებული პაციენტი ნახევრად მჯდომარე მდგომარეობაში რაიმე უკუჩვენების არარსებობის დროს.

○ რეკომენდებულია პაციენტის თავის წამოწევა 30-45 გრადუსით.

○ არაინვაზიური ვენტილაცია შეიძლება განხილული იქნეს ALI/ARDS-ის მქონე პაციენტებში მსუბუქ/ზომიერი პიპოქსემიური რესპირატორული უკმარისობის დროს. პაციენტი უნდა იყოს პემოდინამიკურად სტაბილური, კომფორტულ მდგომარეობაში, ადეკვატურად გამოღვიძებული, შეეძლოს სასუნთქი გზების გამაწვანების შენარჩუნება და სავარაუდოდ გამოჯანმრთელდეს სწრაფად.

◆ გამოიყენეთ მექანიკური ვენტილაციიდან გადაჩვენის პროტოკოლი და სპონტანური სუნთქვის ტესტი (SBT) რეგულარულად, რათა შეფასებული იქნეს მექანიკური ვენტილაციიდან პაციენტის მოხსნის შესაძლებლობა.

- SBT მოიცავს წნევით დახმარების დაბალ სიდიდეს მუდმივი დადებითი წნევით სასუნთქ გზებში 5 cmH₂O ან T-piece სპონტანური ტესტს.

SBT განხორციელებამდე პაციენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- იყოს ადეკვატურად გამოღვიძებული
- იყოს პემოდინამიკურად სტაბილური ვაზოპრესორების გარეშე
- არ უნდა აღენიშნებოდეს ახალი პოტენციურად სერიოზული მდგომარეობა
- მქონდეს ვენტილაციური და ამოსუნთქვის ბოლოს წნევის დაბალი სიდიდეები

- საჭიროებდეს FiO_2 ისეთ სიდიდეებს, რომელთა მიწოდება უსაფრთხოდ იქნება შესაძლებელი ნილბის ან ნაზალური კანულის მეშვეობით
- ♦ არ გამოიყენოთ ფილტვის არტერიის კათეტერი ALI/ARDS-ის მქონე პაციენტების რუტინული მონიტორინგისათვის.
- ♦ გამოიყენეთ კონსერვატული სითხის სტრატეგია პაციენტებში დადგენილი ALI-ის დროს, ქსოვილების ჰიპოპერფუზიის აშკარად გამოხატულ ნიშნების არარსებობის შემთხვევაში.

სედაცია, ანალგეზია და ნერვ-კუნთოვანი ბლოკადა სეფსისის დროს

- ♦ გამოიყენეთ სედაციის პროტოკოლები მექანიკურად ვენტილირებულ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებში.
- ♦ გამოიყენეთ ხანგამოშვებითი ბოლუსური ან ხანგრძლივი ინფუზორი სედაცია საბოლოო მიზნამდე – სედაციის მიღწევამდე ყოველდღიური შეწყვეტითა და გამოღვიძების ხარისხის შეფასებით. მოახდინეთ პრეპარატების დოზის ტიტრაცია.
- ♦ შესაძლებლობის ფარგლებში მოერიდეთ ნერვ-კუნთოვანი ბლოკატორების გამოყენებას. მოახდინეთ ბლოკადის სიღრმის მონიტორინგი ხანგრძლივი ინფუზიების დროს.

გლუკოზის კონტროლი

- ♦ გამოიყენეთ IV ინსულინი ჰიპერგლიკემიის მართვისათვის მიძიე სეფსისის დროს ინტენსიურ თერაპიაში სტაბილიზაციის შემდეგ.
- ◊ შეინარჩუნეთ სისხლში გლუკოზის დონე < 8.3 მმოლ/ლ (150 მგ/დლ) ინსულინის დადგენილი დოზირების პროტოკოლის მიხედვით.
- ♦ უზრუნველყავით გლუკოზის ენერგეტიკული წყარო და მოახდინეთ სისხლში გლუკოზის დონის კონტროლი 1-2 სთ-ში ერთჯერ (4 სთ-ში ერთჯერ სტაბილიზაციის შემდეგ) პაციენტებში, რომლებიც ღებულობენ ინტრავენურ ინსულინს.
- ♦ სიფრთხილით განიხილეთ სისხლში გლუკოზის დაბალი მაჩვენებლის არსებობა.

თირკმლის ფუნქციის ჩანაცვლება

- ◊ ხანგამოშვებითი ჰემოდიალიზი და ხანგრძლივი ვენო-ვენური ჰემოფილტრაცია (CVVH) მიჩნეულია ექვივალენტურად.
- ◊ CVVH განაპირობებს გაადვილებულ მართვას ჰემოდინამიკურად არასტაბილურ პაციენტებში.

ბიკარბონატი

- ♦ არ გამოიყენოთ ბიკარბონატი ჰემოდინამიკის გაუმჯობესების ან ვაზოპრესორებზე მოთხოვნის შემცირების მიზნით ჰიპოპერფუზიით განპირობებული ლაქტატ აციდოზის კორექციის დროს, როდესაც $\text{pH} \geq 7.15$.

ღრმა ვენების თრომბოზის (DVT) პროფილაქტიკა

♦ გამოიყენეთ დაბალი დოზის არაფრაქციული ჰეპარინი (UFH) ან დაბალმოლეკულური ჰეპარინი (LMWH), თუ არ არსებობს რაიმე უკუჩვენება.

♦ ჰეპარინის უკუჩვენების დროს გამოიყენეთ მექანიკური პროფილაქტიკური მოწყობილობა, როგორცაა ხანგამოშვებითი კომპრესიული მოწყობილობა.

◊ გამოიყენეთ ფარმაკოლოგიური და მექანიკური თერაპიის კომბინაცია პაციენტებში DVT განვითარების მაღალი რისკით.

◊ მაღალი რისკის პაციენტებში უპირატესობა ენიჭება LMWH ვიდრე UFH.

სტრესული წყლულის პროფილაქტიკა

♦ სტრესული წყლულის პროფილაქტიკისათვის გამოიყენეთ H_2 ბლოკატორი ან Na-K ტუმბოს ინჰიბიტორი. სიფრთხილით უნდა იქნეს შეფასებული კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაცვით მიღებული სარგებლობა და ენტილატორით განპირობებული პნევმონიის განვითარების საშიშროება.

დახმარების შეზღუდვის შეფასება

♦ განიხილეთ დახმარების გეგმა პაციენტებთან და ოჯახის წევრებთან. აუხსენით შესაძლო გამოსავალი და დასახეთ რეალისტური მოლოდინი.

შენიშვნა: ♦ გვირგენებს ძლიერ რეკომენდაციას ან “ჩვენ მოვითხოვთ”

◊ გვირგენებს სუსტ რეკომენდაციას ან “ჩვენ გირჩევთ”

• ანტიბიოტიკები

✓ ფართო სპექტრის პენიცილინები

ამპიცილინი

ახალშობილები: IM, IV

პოსტნატალური ასაკი ≤ 7 დღე

≤ 2000 გრ – მენინგიტი: 50 მგ/კგ/დოზა 12 სთ-ში ერთჯერ, სხვა ინფექციები: 25 მგ/კგ/დოზა 12 სთ-ში ერთჯერ

> 2000 გრ – მენინგიტი: 50 მგ/კგ/დოზა 8 სთ-ში ერთჯერ, სხვა ინფექციები: 25 მგ/კგ/დოზა 8 სთ-ში ერთჯერ

პოსტნატალური ასაკი > 7 დღე

< 1200 გრ – მენინგიტი: 50 მგ/კგ/დოზა 12 სთ-ში ერთჯერ, სხვა ინფექციები: 25 მგ/კგ/დოზა 12 სთ-ში ერთჯერ
1200-2000 გრ – მენინგიტი: 50 მგ/კგ/დოზა 8 სთ-ში ერთჯერ, სხვა ინფექციები: 25 მგ/კგ/დოზა 8 სთ-ში ერთჯერ
> 2000 გრ – მენინგიტი: 50 მგ/კგ/დოზა 6 სთ-ში ერთჯერ, სხვა ინფექციები: 25 მგ/კგ/დოზა 6 სთ-ში ერთჯერ

ჩვილები და ბავშვები: IM, IV

100-400 მგ/კგ/დღეში 4-6 სთ-ში ერთჯერ, მენინგიტი: 200 მგ/კგ/დღეში 4-6 სთ-ში ერთჯერ, მაქსიმუმ 12 გრ/დღეში

მოზრდილები:

IM – 500 მგ-1.5 გრ 4-6 სთ-ში ერთჯერ

IV – 500 მგ-3 გრ 4-6 სთ-ში ერთჯერ, მაქსიმუმ 12 გრ/დღეში
სეფსისი, მენინგიტი: 150-250 მგ/კგ/დღეში 3-4 სთ-ში ერთჯერ

მეზლოცილინი

ახალშობილები და ჩვილები: IM, IV

≤ 7 დღე ≤ 2000 გრ: 75 მგ/კგ 12 სთ-ში ერთჯერ

≤ 7 დღე > 2000 გრ: 75 მგ/კგ 12 სთ-ში ერთჯერ

> 7 დღე ≤ 2000 გრ: 75 მგ/კგ 8 სთ-ში ერთჯერ

> 7 დღე > 2000 გრ: 75 მგ/კგ 6 სთ-ში ერთჯერ

ბავშვები: IM, IV

200-300 მგ/კგ/დღეში 4-6 სთ-ში ერთჯერ, მაქსიმუმ 24 გრ/დღეში

მოზრდილები: IM, IV

1-4 გრ 4-6 სთ-ში ერთჯერ, საშარდე გზების გაურთულებელი ინფექციები: 1.5-2 გრ 6 სთ-ში ერთჯერ, მძიმე ინფექციები: 200-300 მგ/კგ/დღეში 4-6 სთ-ში ერთჯერ, მაქსიმუმ 24 გ/დღეში

პიპერაცილინი (პიპრაცილი)

ახალშობილები: IM, IV

100-200 მგ/კგ 12 სთ-ში ერთჯერ

ჩვილები და ბავშვები: IM, IV

200-300 მგ/კგ/დღეში 4-6 სთ-ში ერთჯერ, მუკოვისციდოზი: 350-500 მგ/კგ/დღეში 4-6 სთ-ში ერთჯერ

მოზრდილები: IM, IV

საშარდე გზების ზომიერი სიმძიმის ინფექცია: 2-3 გრ/დოზა 6-12 სთ-ში ერთჯერ, მძიმე ინფექციები: 3-4 გრ/დოზა 4-6 სთ-ში ერთჯერ, მაქსიმუმ 24 გრ/დღეში

ტიკარცილინი

ახალშობილები: IM, IV

პოსტნატალური ასაკი ≤ 7 დღე

< 2000 გრ: 75 მგ/კგ/დოზა 12 სთ-ში ერთჯერ

>2000 გრ: 75 მგ/კგ/დოზა 8 სთ-ში ერთჯერ

პოსტნატალური ასაკი > 7 დღე

< 1200 გრ: 75 მგ/კგ/დოზა 12 სთ-ში ერთჯერ

1200-2000 გრ: 75 მგ/კგ/დოზა 8 სთ-ში ერთჯერ

>2000 გრ: 75 მგ/კგ/დოზა 6 სთ-ში ერთჯერ

ჩვილები და ბავშვები: IM, IV

სისტემური ინფექციები – IV: 200-300 მგ/კგ/დღეში 4-6 სთ-ში ერთჯერ,

საშარდე გზების ინფექციები - IM, IV: 50-100 მგ/კგ/დღეში 6-8 სთ-ში

ერთჯერ, მაქსიმუმ 24 გრ/დღეში

მოზრდილები: IM, IV

1-4 გრ 4-6 სთ-ში ერთჯერ, ყველაზე ხშირად 3 გრ 4-6 სთ-ში ერთჯერ

✓ პენიცილინები და ბეტა ლაქტამაზური ინჰიბიტორები

ამპიცილინი სულბაქტამი (უნაზინი)

ბავშვები (3 თვიდან 12 წლამდე): IM, IV

100-200 მგ ამპიცილინი/კგ/დღეში (150-300 მგ უნაზინი) 6 სთ-ში

ერთჯერ, მაქსიმუმ 8 გრ ამპიცილინი/დღეში (12 გრ უნაზინი)

მოზრდილები: IM, IV

1-2 გრ ამპიცილინი (1.5-3 გრ უნაზინი) 6-8 სთ-ში ერთჯერ, მაქსიმუმ 8

გრ ამპიცილინი/დღეში (12 გრ უნაზინი)

მეტიცილინი

ახალშობილები: IM, IV

< 2000 გრ

≤ 7 დღე: 25-50 მგ/კგ/დოზა 12 სთ-ში ერთჯერ

>7 დღე: 25-50 მგ/კგ/დოზა 8 სთ-ში ერთჯერ

≥ 2000 გრ

≤ 7 დღე: 25-50 მგ/კგ/დოზა 8 სთ-ში ერთჯერ

>7 დღე: 25-50 მგ/კგ/დოზა 6 სთ-ში ერთჯერ

ჩვილები > 1 თვე და ბავშვები: IM, IV

100-400 მგ/კგ/დღეში 4-6 სთ-ში ერთჯერ

მოზრდილები: IM, IV

პენიცილინი G (ბენზილპენიცილინი)

ახალშობილები: IM, IV

> 7 დღე > 2000 გრ: 100.000 ერთ/კგ/დღეში 6 სთ-ში ერთჯერ

> 7 დღე < 2000 გრ: 75.000 ერთ/კგ/დღეში 8 სთ-ში ერთჯერ

< 7 დღე > 2000 გრ: 50.000 ერთ/კგ/დღეში 8 სთ-ში ერთჯერ

≤ 7 დღე < 2000 გრ: 50.000 ერთ/კგ/დღეში 12 სთ-ში ერთჯერ

ჩვილები და ბავშვები: IM, IV

100.000-250.000 ერთ/კგ/დღეში 4 სთ-ში ერთჯერ, მძიმე ინფექციები:

400.000 ერთ/კგ/დღეში 4 სთ-ში ერთჯერ, მაქსიმუმ 24 მილიონი ერთ/დღეში

თანდაყოლილი სიფილისი: IV

ახალშობილები – 50.000 ერთ/კგ/დღეში 8-12 სთ-ში ერთჯერ 10-14 დღე

ჩვილები – 50.000 ერთ/კგ 4-6 სთ-ში ერთჯერ 10-14 დღე

დისემინირებული გონოკოკური ინფექცია – 100.000 ერთ/კგ/დღეში 12 სთ-ში ერთჯერ (6 სთ-ში ერთჯერ ჩვილებში > 1 კვირა)

გონოკოკური მენინგიტი – 150.000 ერთ/კგ 12 სთ-ში ერთჯერ (6 სთ-ში ერთჯერ ჩვილებში > 1 კვირა)

მოზრდილები: IM, IV

2-24 მილიონი ერთ/დღეში 4 სთ-ში ერთჯერ

ნეიროსიფილისი – 18-24 მილიონი ერთ/დღეში 3-4 სთ-ში ერთჯერ 10-14 დღე

კარბენიცილინი

მსუბუქი ინფექციები:

ბავშვები: IM, IV

50-200 მგ/კგ/დღეში 4-6 სთ-ში ერთჯერ

მოზრდილები: IM, IV

200 მგ/კგ/დღეში 6 სთ-ში ერთჯერ

მძიმე ინფექციები:

ბავშვები: IM, IV

400-500 მგ/კგ/დღეში 4-6 სთ-ში ერთჯერ

მოზრდილები: IM, IV

250-500 მგ/კგ/დღეში 6 სთ-ში ერთჯერ, მაქსიმუმ 40 გ/დღეში

ოქსაცილინი (ბაქტოცილი)

ახალშობილები: IM, IV

პოსტნატალური ასაკი < 7 დღე

< 2000 გრ: 25 მგ/კგ/დღეში 12 სთ-ში ერთჯერ

> 2000 გრ: 25 მგ/კგ/დღეში 8 სთ-ში ერთჯერ

პოსტნატალური ასაკი > 7 დღე
< 1200 გრ: 25 მგ/კგ/დღე 12 სთ-ში ერთჯერ
1200-2000 გრ: 30 მგ/კგ/დღე 8 სთ-ში ერთჯერ
>2000 გრ: 37.5 მგ/კგ/დღე 6 სთ-ში ერთჯერ

ჩეილები და ბავშვები: IM, IV
150-200 მგ/კგ/დღეში 6 სთ-ში ერთჯერ, მაქსიმუმ 12 გრ/დღეში

მოზრდილები: IM, IV
250 მგ-2 გრ/დღე 4-6 სთ-ში ერთჯერ

პიპერაცილინი ტაზობაქტამი

ბავშვები < 12 წელი: არ არის მონაცემები
ბავშვები > 12 წელი და მოზრდილები:
მძიმე ინფექციები –პიპერაცილინი/ტაზობაქტამი 4/0.5 გრ 8 სთ-ში
ერთჯერ ან 3/0.375 გრ 6 სთ-ში ერთჯერ IV
საშუალო სიმძიმის ინფექციები –პიპერაცილინი/ტაზობაქტამი 2/0.25 გრ
6-8 სთ-ში ერთჯერ IM

ტიკარცილინი კლაფულანის მეთა

ახალშობილები: IM, IV
პოსტნატალური ასაკი < 7 დღე
